ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 15 – 16 ივნისი, 2019

№140 (8094)

ფასი: 60 თეთრი

თუშეთში პიკაპი ხევში გადავარდა

1 ადამიანი დაიღუპა, 1 დაშავდა

გვ.6

11 ივნისიდან

ვაჟა-ფშაველა

მოთხრობები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ლევან ვასაძე: „გარყვნილების ზეიმს არ დავუშვებთ, გახარია, მოდი, მოგვიხადე ბოდიში!“

გვ.3

მთავრობის კანცელარიასთან „თბილისი პრაიდმა“ აქციის მოწყობა სცადა

კოტე კემულარია: „ივანიშვილს ამხელა ჯოგი რომ ჰყავს „ოცნებაში“, ვილაცამ უთხრას, ქვეყანაში რა ხდება“

გვ.2

არც ერთი ნორმალური პოლიტიკური ძალა არ არის დაინტერესებული, რომ ქვეყანაში იყოს დესტაბილიზაცია

მამუკა გამყრელიძე: „გახარია ოპოზიციისთვის დიდი პრობლემაა“

გვ.3

დავით სერგეენკო თანამდებობას ტოვებს

გვ.5

გვ.4

ვახტანგ მაისაია: „ფოთის პორტზე ჩინურ-რუსული ინტერესები იკვეთება“

გვ.4

„ბახტაძის ახლა მოხსნა ამერიკის წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს“

სოსო ცინცაძე: „გახარიამ რაღაც თვისებები გამოავლინა, ცქიტიშვილი მოზომილი და მორჩილია“

გვ.7

მიხეილ საგარელი: „ირაკლი კობახიძე პოლიტიკაში ტივტივებს“

მირიან მირიანაშვილი: „ვაშინგტონის განცხადებები მომავალში უფრო მწვავე გახდება“

გვ.5

„პომპეოს მინიშნება მხოლოდ ანაკლიას არ ეხებოდა“

სამართალი

გვ.6

„აუღია ნაჯახი და ერთისთვის თავი გადაუხლეჩია, მეორესთვის ზურგში ჩაურტყამს“

რა მოხდა ახალციხეში

„კაი, ბიჭი აიტანს ცემას, მაგრამ ქალები და გოგოები მაგას ვერ უძლებენ“

რას ყვებიან ისრაელიდან გამოძევებული ქართველები

32 წლის ნათია სუბელიანს სამზარეულოში გულის შეტევა მოუვიდა. ამ დროს ის სახლში მარტო იყო

ISSN 1987-9385

7 რა ანაზღაურება ექნება მომღერალ ზურაბ ხაჩიძეს, რომელიც სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის მოადგილედ დაინიშნა

6 საბერძნეთში ქართველი ემიგრანტი გარდაიცვალა

7 ტაქსის მძღოლები თიბისი ბანკში სესხებს გამარტივებული წესით აიღებენ

6 შსს-მ თ.კ. იარაღის არსენალით დააკავა

კოტე კემულარია: „ივანიშვილს ამხელა ჯოგი რომ ჰყავს „ოცნებაში“, ვიღაცამ უთხრას, ქვეყანაში რა ხდება“

არც ერთი ნორმალური პოლიტიკური ძალა არ არის დაინტერესებული, რომ ქვეყანაში იყოს დესტაბილიზაცია

იაგო ნაცვლიშვილი

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა თანამოაზრეებთან ერთად პოლიტიკური მოძრაობა „გამარჯვებული საქართველო“ დააფუძნა, რომლის მთავარი მიზანიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლების შეცვლა და საქართველოში ბელადმანიის დასრულებაა. უკვე გაისმა სხვადასხვა ვერსიები, მათ შორის ისიც, რომ აღნიშნული პოლიტიკური ძალა რადიკალური მიმართულების იქნება.

გაჩნდა კითხვები, როგორი საგარეო ვექტორის პარტია იქნება, რომელ პარტიებთან ითანამშრომლებს, როგორ მოახდენს დისტანცირებას მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან და ხომ არ ემზადებიან რევოლუციისთვის? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **კოტე კემულარია** საუბრობს:

– გასაგებია, რომ თქვენი გუნდი ივანიშვილის ხელისუფლების შესაცვლელად მოდიხართ, მაგრამ რა გზას აირჩევთ? თითქოს გამოიკვეთა რადიკალური გზა, ემზადებით რევოლუციისთვის თუ რადიკალურად განწყობილი ამომრჩევლის მისამხრობად 2020-ის არჩევნებზე?

– არანაირი რადიკალური წიაღსვლები ჩვენ არ გვქონია, არ მიგვაჩნია, რომ საზოგადოების დიდი ფენაა, რომელიც რადიკალურად არის განწყობილი. ადამიანები განწყობილი არიან ძალიან საქმიანად, რათა საქართველომ დაიბრუნოს თავისი ძველი ლიდერის ფუნქცია. სახელმწიფოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფუნქცია და საქართველოს ლიდერის ფუნქცია ჰქონდა კავკასიაში და რეგიონში დიდ პატივს სცემდნენ. აღიარებული იყო ჩვენი რეფორმები და ამანაც განამტკიცა ლიდერის როლი, როგორც სახელმწიფოსი. ყველაფერი ეს დავკარგეთ, სწორედ ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ ხელში დავკარგეთ ეს. შესაბამისად, ჩვენი მთავარი ამოცანაა, ხალხს გვერდში დავუდგეთ პროფესიონალები, აღვადგინოთ ეს ფუნქცია, დავაბრუნოთ ხალხი საქართველოში, რომელიც ტოვებენ საქართველოს. დავუბრუნოთ პატარებს ელემენტარული პირობები, რომლებსაც შიათ...

რაც შეეხება რადიკალიზაციას, დესტაბილიზაციაც გაისმა და ა. შ. ეს ყველაფერი უკუღმაა. დესტაბილიზაცია იცით რა არის? – როცა ადამიანები შიმშილობენ საკუთარ ქვეყანაში, დესტაბილიზაციის წყაროა, როდესაც ქვეყანას საგარეო კურსი არ აქვს და ფაქტობრივად „ნუ გავაღიზიანებთ რუსეთს“, ეს არის მთავარი პოსტულატი, რაც ძალიან სახიფათოა, რადგან ქვეყანა სუსტდება და ფაქტობრივად პოზიცია არ აქვს. დესტაბილიზაციის წყაროა, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ პანკისში გააკეთა აბსოლუტურად არაგონივრულად. დესტაბილიზაციის წყაროა, როცა ადამიანს შვილს უკლავენ პანკისში და პასუხს არ აძლევენ, რატომ მოუკლეს შვილი. დესტაბილიზაციის წყაროა, რაც დავითგარეჯში ხდება და ამას აკეთებს პრეზიდენტი მისი აბსოლუტურად არაგონივრული ნაბიჯებით. დესტაბილიზაციის წყაროა, რაც ხდება ტყიბულსა და ჭიათურაში, როდესაც ადამიანებს პირობები არ აქვთ, სიკვდილის რისკის ქვეშ მუშაობენ და 300 ლარს უხდიან ხელფასს და ვიღაცა მილიონებს აკეთებს. დესტაბილიზაციის წყაროა, როცა ხალხი მე-11 მე-12 სართულებიდან ცვივა და არავინ არის ამის მიმხედავი და შრომის უსაფრთხოების დამრეგულირებელი არავინაა. უამრავი ასეთი ფაქტია დესტაბილიზაციის წყარო. ჩვენ პირიქით გვინდა, ხალხს ხელი შევუწყოთ.

– როგორ შეცვლით იმ ნიჰილიზმს, რაც საზოგადოებაშია, როცა ხალხი არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ სხვა პოლიტიკურ ძალებსაც აღარ ენდობა?

– საქმე ისაა, რომ ჩვენ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან ვსწავლობდით ამას. დიდი ხანია ჩვენ არ ვმონაწილეობდით პოლიტიკაში და ჩვენი საქმით ვიყავით დაკავებულები, მაგრამ უკვე შეუძლებელია ასე ცხოვრება. ივანიშვილის ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა იყო ის, რომ – კი, მაგრამ, მთავარი კითხვა აქ ის არის, რით დასუსტდა ეს ოპოზიცია? – შუა გაკრიფა! აქედან გამომდინარეობს ეს. შენ როდესაც ხელისუფლებაში ხარ, ოპოზიციის დასუსტებით არ უნდა იყო დაინტერესებული. ოპოზიცია ხომ შენი დამხმარეა, თუნდაც შენი კრიტიკით, თუნდაც იმ აღმოჩენებით, რაც არასწორად მიდის. თუ ასეთი სურვილი გაქვს, რომ ეფექტიანი იყო, ამ დროს ოპოზიცია შენი მშველელია, რათა გითხრას რაღაცები, ხალხს შეხვდეს და ა. შ. ამ დროს ოპოზიციის მოკვლა დიდი შეცდომაა. შენ თუ განსხვავებული აზრი მტრად მიგაჩნია, მაშინ უხეშად ცდები და მაშინ არც დემოკრატიასთან გვაქვს საქმე. ეს გვაქვს ახლა, რომ ხელისუფლება და ხალხი დარჩა მარტო. „ოცნება“ არანაირი პარტია არ არის, ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც აფინანსებენ, კომფორტში არიან, თვალებში შესციცინებს ივანიშვილს და ვერავინ გაუბედავს ივანიშვილს იმის თქმას, რომ ხალხს ეს სჭირს... როცა გაერომ თქვა, რომ საქართველოში ბავშვები შიმშილობენ, მაშინ ივანიშვილმა გვითხრა, ეს რა გავიგეო. სანამ გაეროს კომისია არ ეტყოდა, ამხელა ჯოგი რომ ჰყავს, ვიღაცას ხომ უნდა ეთქვა, რა ვითარებაც იყო.

– თქვენ გჯერათ, რომ მაშინ გაიგო ივანიშვილმა და იქამდე არ იცოდა?

– განცხადებას, ხომ არ ვიგონებ, ეს ხომ თვითონ თქვა?!

– ბევრი რამე გაგვიგია მისგან, ბევრი დაპირებაც, რომელიც არ შეუსრულებია, მაგრამ საკითხი აქ ის არის, გვჯერა თუ არა?

– მან გვითხრა კვირიკაშვილზე, იმიტომ გავცოფდი, მან დამიმალა, რომ ბავშვები შიმშილობენ საქართველოში. ეს მისი ოფიციალური განცხადებაა. მე ვერ ჩავალ იქამდე, რას ფიქრობს ის. რასაც აცხადებს, იქიდან უნდა გავაკეთოთ დასკვნები.

გეთანხმებით, რომ ეცოდინებოდა, მაგრამ მან არ იცის, რომ პასუხს მაინც მაგას მოსთხოვს ქართველი ხალხი. კი იძახის, მე რა შუაში ვარო, მაგრამ ხომ ყველამ იცის, რომ არაფორმალური მმართველია?!

როცა შენ მარტო რჩები ხალხთან, ძალიან ცოდო ხარ და ამაში მინდა დავეხმარო. მინდა დაინახოს, რომ შეიძლება მშვიდად შეცვალონ ის პოლიტიკურმა ძალებმა. ნამდვილმა პოლიტიკურმა ძალებმა. არც ერთი ნორმალური პოლიტიკური ძალა არ არის დაინტერესებული, რომ ქვეყანაში იყოს დესტაბილიზაცია.

– თქვენ პოლიტიკურ გუნდს იმის ამბიცია გაქვთ, რომ შეცვლით ხელისუფლებას თუ გგონიათ, რომ იმ ძალთა ბალანსით მოახერხებთ პარლამენტში შესვლას, რომ გარკვეული გავლენის მოხდენას შეძლებთ პროცესებზე?

– ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ბელადი არ გვეყოლება. ჩვენი პირდაპირი ამოცანაა, რომ ივანიშვილის ბელადობა და ზოგადად ბელადობა საქართველოში უნდა დასრულდეს. ეს არის ჩვენი პირდაპირი ამოცანა. ჩვენ ვიყავით პარლამენტშიც და მთავრობაშიც, ჩვენ საერთოდ არ გვაინტერესებს ის, რომ პარლამენტში ვიყოთ, მაგრამ დაინტერესება არის ის, რომ ის პოლიტიკური ძალები, ვინც არჩევნების გაყალბების, კრიმინალების წინააღმდეგია, ისინი ვიყოთ ერთიანი რიგ საკითხებზე. ჩვენთვის მიუღებელია უფლებების დარღვევა და მოგეხსენებათ, არჩევანის უფლების წართმევა ერთ-ერთი მთავარი დარღვევაა მთელ მსოფლიოში. დღეს არჩევანი კეთდება კარტოფილით და ხახვის დარიგებით. ჩვენი მოკავშირე იქნება ყველა და ყველას მოკავშირე ვიქნებით, ვისაც ეს არ უნდა. ივანიშვილს ქვეყანა უფსკრულისკენ მიჰყავს და გვინდა, რომ მასაც და საზოგადოებასაც ავუხსნათ ეს. არა მარტო პარტიები გავერთიანდეთ, არამედ საზოგადოება, ინტერესთა ჯგუფები, მეცნიერები... ყველა, ვინც თვლის, რომ საქართველოს გადაარჩენს სამართლიანი არჩევნები.

– არის მცდელობა, რომ თქვენი ასოცირება მოხდეს სააკაშვილთან, როგორ მოახდენთ დისტანცირებას? ახლა საუბრობდით უფლებების დარღვევაზე და გაგახსენებენ იმ პერიოდის ვითარებას, მათ შორის ოქრუაშვილის მინისტრობის პერიოდს. ამ ყველაფრის წინააღმდეგ როგორ დაარწმუნებთ საზოგადოებას?

– მე 2007 წელს წამოვედი სააკაშვილის ხელისუფლებიდან. იმის გამო, რომ ბევრი რამე არ გაითვალისწინეს, რეფორმების სათავეებთანაც ვიყავი. იუსტიციის მინისტრი ვიყავი და ბევრი რამე ჩემი დაწყებულია, მათ შორის სახელი „იუსტიციის სახლიც“ კი ჩემი მოფიქრებულია. რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, ის ჩემზე ადრე ჩამოაცილეს ხელისუფლებას შიდა ინტრიგების გამო. ირაკლი ოქრუაშვილმა გაატარა რეფორმები შსს-ში, პროკურატურაში და თავდაცვის სამინისტროში. ამას გადაჰყვა ირაკლი ოქრუაშვილი და ძალიან დიდი თავდასხმები გადაიტანა. ასე რომ, ჩვენ ვიღაცამ მოგვკითხოს ყველაფერ იმაზე პასუხი, ვისი უფლებებიც დაირღვა, ეს სისულელე და ყველაფრის უკუღმა წარმოჩენა იქნება.

რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის იმ ხალხს, ვისაც პასუხი უნდა მოსთხოვონ, ის ხალხი ივანიშვილს გვერდით უზის, გადმობარგებულ, გადმოპორტირებულ თუ გადმობირებულები აგერ უსხედან. ეს მცდელობა უსაფუძვლო იქნება და ამ ყველაფერს საზოგადოება კარგად დაინახავს.

მიხეილ სააკაშვილი აღარ არის ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე, ეს თანამდებობა უკავია გრიგოლ ვაშაძეს. სააკაშვილი უკრაინაშია, წარადგინა თავის სია და იჯდეს უკრაინაში. თუ ვინმე უკრაინაში ერჩის მას, ჩვენ ამისთვის არ გამოვადგებით. ივანიშვილს აქვს გეგმა, რომ უკრაინაში ებრძოლოს მას და ეს მისი საქმეა. არა მგონია ეს სწორი იყოს, რადგან უკრაინა მეგობარი ქვეყანაა და მის საქმეებში ჩარევა სწორი არ იქნება.

– ანუ თვლით, რომ სააკაშვილთან დისტანცირება არ გჭირდებათ?

– ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს, ქართული კანონმდებლობით და კონსტიტუციით. ხელისუფლებაში დღეს სააკაშვილი არ არის, ხელისუფლებაშია ივანიშვილი და მისი „ოცნება“, რომელიც არის ჩვენი მოწინააღმდეგე.

– კიდევ ერთი მთავარი კითხვა არის ის, როგორი საგარეო კურსი ექნება თქვენს პოლიტიკურ ძალას, იქნებით პროდასავლურ თუ პრორუსულ ორბიტაზე?

– მკაფიოდ პროდასავლური, თანაც გამოკვეთილი ამერიკული სტრატეგიული პარტნიორობის. იმიტომ, რომ დღეს მთავარი ცენტრი, სადაც უსაფრთხოების მთავარი გარანტიები შეიძლება იპოვოს სახელმწიფომ, სწორედ აშშ-ია. ამიტომ არის გაუგებარი პრეზიდენტის განცხადება ხალხისთვის, რომ წინააღმდეგი ვარ ამერიკასთან სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების და ბაზების საკითხი არ უნდა დაისვასო, ამას სახელმწიფოს სახელით იძახის. ეს აბსოლუტურად არაგონივრული განცხადებაა. იმიტომაც, რომ ჩვენ მოვისმინეთ პომპეოს განცხადება, რომ აშშ-ის და მეგობარი ქვეყნების გემები უკვე შავ ზღვაში არიან.

იკვეთება უსაფრთხოების თანამშრომლობის ვექტორები, რომელიც გააძლიერებს ჩვენს სახელმწიფოებრიობას. პომპეომ რომ არ გვითხრას, ჩვენს უტვინო ხელისუფლებას არ უნდა ესმოდეს, რომ ანაკლიის პორტის საკითხი არ არის მარტო ღარიბაშვილსა და კვირიკაშვილის ბრძოლის და შიდა კლანური დაპირისპირების საკითხი?! შეიძლება არ მოგწონდეს მამუკა ხაზარაძე, მაგრამ ამას შეიძლება ქვეყნის სტრატეგიული მიმართულება გადააყოლო?! ჩვენს შთამომავლობას და სახელმწიფოებრიობას სჭირდება ამერიკასთან სტრატეგიული თანამშრომლობა და იქიდან ეს შემოთავაზება გვაქვს. სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული, ხელშეკრულებები გაფორმებულია... ჩვენი სახელოვანი ჯარისკაცები სახელმწიფოებრიობისთვის და მისთვის სახელის მოხვეჭის მიზნით იბრძვიან ამერიკელ, ფრანგ თუ გერმანელ ჯარისკაცებთან და ამ დროს სახელმწიფო რას აკეთებს?! ეს არის პრობლემა და ჩვენ გამოკვეთილად ვიქნებით ამ პოზიციაზე, პროდასავლურ პოზიციაზე.

– აქედან გამომდინარე ბურჯანაძესთან თანამშრომლობა უნდა გამოვრიცხოთ და გვითხარით, ვინ მიგაჩნიათ ოპოზიციაში მთავარ მოკავშირედ?

– ჩემთვის გვარებს არაფერი მნიშვნელობა არ აქვს. ახლა მიდის დუღილის პროცესი, შეიძლება ბევრი პარტია გადალაგდეს და სუფთა პროდასავლურ გზაზე დადგეს, ეს არც მე და არც არავინ იცის. შევდივართ საარჩევნო ფაზაში, შესაბამისად, ვისაც ექნება პროდასავლური პოზიცია, ვინაც არ შეეგუება არჩევნების გაყალბებას, ვინც მზად არის, რომ იბრძოლოს, რათა საქართველომ დაიბრუნოს ლიდერის როლი, ყველასთან ვითანამშრომლებთ.

– ანუ, შესაძლოა, რომ სხვადასხვა თემატურ საკითხზე სხვადასხვა პარტიასთან ითანამშრომლოთ?

– დიახ, ყველა ოპოზიციურ პარტიასთან, ვისთანაც ღირებულებების დამთხვევა გვექნება.

– კონკრეტულად ჯერ არ გსურთ გამოკვეთა და ამას დრო აჩვენებს?

– რა თქმა უნდა, დრო აჩვენებს და თვითონ პოლიტიკური ძალების პოზიციები, რომელსაც შევისწავლით ძალიან სკრუპულოზურად.

„ჩვენი კურსი არის მკაფიოდ პროდასავლური, თანაც გამოკვეთილი ამერიკული სტრატეგიული პარტნიორობის. რადგან დღეს მთავარი ცენტრი, სადაც უსაფრთხოების მთავარი გარანტიები შეიძლება იპოვოს სახელმწიფომ, სწორედ აშშ-ია

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ლევან ვასაძე: „გარყვნილების ზეიმს არ დავუშვებთ, გახარია, მოდი, მოგვიხადე ბოდიში!“

მთავრობის კანცელარიასთან „თბილისი პრაიდმა“ აქციის მოწყობა სცადა

14 ივნისს „თბილისი პრაიდმა“ საღამოს 7 საათზე აქციის „სახელმწიფო, სად ხარ?“ გამართვა დააანონსა.

მისმა ორგანიზატორებმა ფეისბუქზე დაწერეს:

„მივმართავთ ლგბტქ ადამიანებს და მხარდამჭერებს, სამოქალაქო საზოგადოებას, საჯარო ფიგურებს, პოლიტიკოსებს, ყველას, ვისთვისაც ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა და სოლიდარობა მნიშვნელოვანია, მოხვიდეთ დღეს და დადგეთ ჩვენს გვერდით მთავრობის კანცელარიის წინ 19:00 საათზე.

31 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ სახელმწიფო ვერ დაიცავს თბილისი პრაიდის ფარგლებში დაგეგმილ ღირსების მარშს. დღეს, 14 ივნისს საქართველოს საპატრიარქომ გააკეთა სიძულვილის შემცველი და ძალადობის წამახალისებელი განცხადება, რომლითაც მოუწოდებს ხელისუფლებას, არ დაუშვას მშვიდობიანი და ადამიანის უფლებების დაცვისკენ მიმართული მსვლელობა.

თბილისი პრაიდის ორგანიზატორები და აქტივისტები დავრჩებით მთავრობის კანცელარიის წინ იქამდე, ვიდრე აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები: მამუკა ბახტაძე, გიორგი გახარია და ირაკლი კობახიძე არ გამოვლენ და საჯაროდ არ გააკეთებენ განცხადებებს თბილისი პრაიდის გარშემო მიმდინარე მოვლენების შესახებ.

დროა და გადამწყვეტია დაფიქსირდეს, სად დგას დღეს ჩვენი სახელმწიფო და რა ღირებულებებს ემსახურება !!!“

* * *

“თბილისი პრაიდის“ ამ განცხადებას წინ უძღოდა საპატრიარქოს განცხადება, რომელიც 14 ივნისს გავრცელდა.

განცხადებაში ნათქვამია:

„როგორც ცნობილი გახდა, ა.წ. 18-23 ივნისს სურთ ამიერკავკასიაში პირველად ჩაატარონ ე.წ. გეი-პრაიდი თბილისში, რაც ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია.

ცხოვრების წესი, რომელსაც ლგბტ პირები ეწევიან, სოდომურ ცოდვას წარმოადგენს და ამდენად ეწინააღმდეგება როგორც ქრისტიანულ სარწმუნოებას და ტრადიციული რელიგიების მოძღვრებებს, ისე ზოგადად მორალურ ღირებულებებს.

ხაზს ვუსვამთ, რომ ეკლესია ემიჯნება ცოდვას, მაგრამ არა მონანულ ცოდვილს, რომელსაც სიყვარულით იწყნარებს და ეხმარება ღმერთთან დაბრუნებაში.

სამწუხაროდ, ლგბტ გარკვეული ჯგუფები და მათი მხარდამჭერები უცხო ქვეყნებს ისე აწვდიან ინფორმაციას, თითქოს საქართველოში ისინი დიდად შევიწროებულნი და დევნილნი არიან და ამ მოტივით სერიოზულ დაფინანსებას იღებენ. მათ სურთ თავისი აქტივობა ისე წარმოაჩინონ, როგორც დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა, სინამდვილეში კი ეწევიან თავისი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და პროპაგანდას და მისი ოფიციალურად დაკანონება აქვთ განზრახული.

როდესაც მცირე ჯგუფი ცდილობს თავისი პოზიცია თავს მოახვიოს მთელ მოსახლეობას, ეს, თავისთავად, იწვევს მკვეთრ უკურეაქციას, ვინაიდან წარმოადგენს მიზანმიმართულ ქმედებას, უმრავლესობის ღირსების შეურაცხყოფას, მათ არჩევანზე ძალადობას და ამდენად არის მაპროვოცირებელი არეულობისა და დაპირისპირებისა.

ჩვენ ვემიჯნებით ყოველგვარ ძალადობას და ამავე დროს ვაცნობიერებთ რა დიდ საშიშროებას, რომელიც შეიძლება ე. წ. გეი-პრაიდის ჩატარებას მოჰყვეს, მოვუწოდებთ ხელისუფლებას, არ დაუშვან აღნიშნული ღონისძიება, რომელიც წინასწარვე არის ცნობილი, რომ გამოიწვევს საზოგადოებრივ შფოთს.

ასევე მოვუწოდებთ და ვთხოვთ საქართველოში აკრედიტებულ სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, სახალხო დამცველს და სხვა ინსტიტუციებს, რათა გამოიჩინონ უფრო ფრთხილი დამოკიდებულება ქართველი ხალხისათვის ამ მეტად მგრძნობიარე საკითხისადმი და ნუ წაახალისებენ ჩვენს ქვეყანაში მსგავს აქტივობებს; ამით ისინი ხელს შეუწყობენ სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნებას და გამოხატავენ ჩვენი მოსახლეობისადმი პატივისცემასა და მხარდაჭერას“.

* * *

ლევან ვასაძემ და მისმა თანამოაზრეებმა ლგბტ პირებს აქციის გამართვის საშუალება არ მისცეს

საღამოს 7 საათზე მთავრობის ადმინისტრაციასთან მივიდნენ გურამ ფალავანდიშვილი და ლევან ვასაძე, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი მაქსიმალურად შეეცდებიან, რომ დედაქალაქში „თბილისი პრაიდი“ არ გაიმართოს.

დაახლოებით ამ დროს პოლიციამ „თანასწორობის მოძრაობის“ წევრი, „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორი, გიორგი თაბაგარი დააკავა.

სამართალდამცავებმა ის მანქანაში ჩასვეს და ტერიტორიიდან გაიყვანეს.

მოგვიანებით გიორგი თაბაგარი გაათავისუფლეს.

– ალბათ საფრთხე დაინახეს და გამარიდეს სიტუაციას, – განაცხადა გიორგი თაბაგარმა, რომელიც დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში სამართალდამცავებს მანქანაში ჰყავდათ.

თაბაგარმა „თბილისი პრაიდის“ აქციის ჩაშლა, ადგილზე გურამ ფალავანდიშვილის, ლევან ვასაძის და მათი სხვა მოწინააღმდეგეების მისვლა შეაფასა და აღნიშნა, რომ ეს სახელმწიფოებრიობის კრახია.

– ეს მორიგი კრახია სახელმწიფოსი და სახელმწიფოებრიობის, როცა მოძალადე ჯგუფები ახერხებენ ჩვენზე გამარჯვებას და სახელმწიფოზე გამარჯვებას, თქვენ ხედავთ, რომ მოძალადე ჯგუფები პარპაშობენ, – განაცხადა გიორგი თაბაგარმა.

* * *

– ხვალ დილით დავაანონსებთ შეხვედრას, რომელზეც განვმარტავთ სამოქმედო გეგმას, როგორ ჩავშლით გარყვნილებას, – ეს განცხადება ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ მთავრობის კანცელარიასთან გააკეთა.

მისი თქმით, ისინი თავდაცვის რეჟიმში არიან.

– აგრესიის მსხვერპლი ვართ ჩვენ. ჩვენ გვესხმიან თავს გარედან დაფინანსებული ძალები, რომლებიც გვირყვნიან შვილების თაობას, თითოეულ თქვენთაგანს ახვევენ თავზე იმ ტერმინოლოგიას, რომელიც არის ანტიქრისტიანული და თავისი შინაარსით ღრმად დესტრუქციული.

ჩვენ ვართ თავდაცვის ფორმაში. ჩემი დღევანდელი აქ მოსვლის მიზეზი არის ის, რომ არ დავუშვათ გარყვნილების ზეიმი ჩვენს ქვეყანაში, – აღნიშნა ლევან ვასაძემ.

მან ხაზი გაუსვა, რომ ლგბტ აქტივისტებს აქციის გამართვის უფლებას არ მისცემენ.

– თუ სახელმწიფო უარს ამბობს წესრიგის დაცვაზე, ამ წესრიგს ჩვენ დავიცავთ, სულ მთელი მსოფლიოს ელჩები თბილისში რომ ჩამოვიდნენ და ეჭიჭყინონ ამ მთავრობას, აქციის გამართვის უფლებას მათ არ მივცემთ, – განაცხადა ვასაძემ.

* * *

მოგვიანებით პოლიციამ რამდენიმე პირი დააკავა. მათ შორის აღმოჩნდა გურამ ფალავანდიშვილის შვილი, ალექსანდრე ფალავანდიშვილი.

როგორც გურამ ფალავანდიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, მისმა შვილმა ლგბტ აქციის მისამართით ცარიელი ბოთლი ისროლა, რასაც სიტუაციის დაძაბვა მოჰყვა. სწორედ ამის შემდეგ დააკავეს ალექსანდრე ფალავანდიშვილი და მისი კიდევ ერთი თანამოაზრე პირი.

დაკავების ფაქტს სამართალდამცავებსა და კონტრაქციის მონაწილეებს შორის შეხლა–შემოხლა მოჰყვა. სამართალდამცავებმა კონტრაქციის ორივე მონაწილე ტერიტორიიდან საპატრულო პოლიციის მანქანებით გაიყვანეს.

მთავრობის კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე, კიბეებთან ლგბტ აქტივისტები განთავსდნენ. მათსა და კონტრაქციის მონაწილეებს შორის პოლიციამ კორდონი აღმართა.

სამართალდამცავები მხარეებს ერთმანეთთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდნენ. ადგილზე მობილიზებული იყო დიდი რაოდენობით საპატრულო პოლიცია.

დაახლოებით ამ დროს შსს-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვით, მთავრობის კანცელარიასთან პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის მუხლით კონტრაქციის 4 მონაწილე იყო დაკავებული.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მთავრობის კანცელარიასთან მიმდინარე კონტრაქციის 4 მონაწილე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173– ე მუხლით (პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა) დააკავეს.

აღნიშნული პირები შეეცადნენ გაერღვიათ სამართალდამცველთა კორდონი, რომელიც შეკრებილების უსაფრთხოებიდან

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მამუკა გამყრელიძე: „გახარია ოპოზიციისთვის დიდი პრობლემაა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი დიპლომატი **მამუკა გამყრელიძე** პასუხობს.

– ბატონო მამუკა, დაიწყო მუშაობა საარჩევნო კოდექსის ცვლილებებზე. პირველი შეხვედრაც გაიმართა, თუმცა ოპოზიციას არ აქვს მოლოდინი, რომ ხელისუფლება მაჟორიტარულ სისტემას გააუქმებს. რამდენად ოპტიმისტურად ხართ განწყობილი?

– აბსოლუტურად არაფერს არ ველოდები. გამორიცხულია, რომ რაიმე დათმობაზე წამოვიდეს ხელისუფლება, იმიტომ, რომ ეს მათი სტილია, დათმობაზე საერთოდ არ მიდიან, როგორც ასეთი. ერთადერთი ვარიანტი იმისა, რომ წამოიყვანო დიალოგსა და დათმობაზე, ეს არის საპროტესტო აქციები, რომლებიც თანმდევი უნდა იყოს ამ განხილვის პროცესისა.

– ანუ საზოგადოებრივი ზეწოლის ფონზე გინდათ დაარწმუნოთ ხელისუფლება, წამოვიდეს ცვლილებებზე?

– დიახ, უნდა აჩვენოს საზოგადოებამ, რომ ხელმოწერები რომ შეგროვდა და ხელი რომ მოაწერა, მას უნდა ეს ცვლილება. 250 ათასმა კაცმა მოაწერა ხელი და 25 ათასი კაცი რომ გამოვიდეს, მხოლოდ 10%, ეს უკვე ძალიან სერიოზული ძალა და ნიშანი იქნება იმისა, რომ ხალხს უნდა ცვლილებები და ამას გაითვალისწინებენ.

– რამდენად მუშაობს ოპოზიცია ამ საკითხზე?

– ჯერჯერობით არავინ ამ საკითხზე არ მუშაობს და მშვიდი პოზიცია უჭირავს ყველას. ჩვენ ყველა ხერხს მივმართეთ, ყველა ლეგიტიმური და კანონიერი გზა მოვსინჯეთ და მერე თუ არ დაგვიტოვებენ სხვა გზას, იძულებული გავხდებით, საპროტესტო გზასაც მივმართოთ.

– დაინახეთ მზაობა ხელისუფლების მხრიდან, რომ ამაზე წამოვა?

– არანაირი მზაობა არ არის. გამორიცხულია, რომ მათ მაჟორიტარული სისტემა პროპორციულით შეცვალონ. ამათ თუ ძალის დემონსტრირება არ აჩვენე, არაფერი გამოვა.

ეს მოქმედების რუსული მანერაა. ივანიშვილს რუსეთში აქვს გავლილი ქცევის ეს სკოლა და იქცევა, როგორც პუტინი. პუტინიც არასდროს არაფერს თმობს, სანამ ცხვირში ძალიან მწარედ არ მოხვდება ხოლმე.

ეს ხელისუფლება იქცევა ხულიგანივით და ხულიგანს ელაპარაკო დაყვავებითა და ენის მოჩლექით, სისულელეა!

– ამერიკიდან საკმაოდ მწვავე სიგნალი წამოვიდა, რომ უნდა ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები. გაითვალისწინებს „ოცნება“ ამ რეკომენდაციას?

– ივანიშვილი რომ სააკაშვილი არ არის, ეს გადასარევად დავინახეთ. სააკაშვილს შეიძლება ძალიანაც არ უნდოდა ხელისუფლების დატოვება, მაგრამ ის ვერ წავიდა წინააღმდეგ იმ ვალდებულებებისა, რომლებიც მას აქვს დასავლეთისა და დემოკრატიული სამყაროს მიმართ. ამიტომ ადგა, დაიხურა ქუდი და წავიდა სახლში.

ივანიშვილი ამას არ გააკეთებს, იმიტომ, რომ ივანიშვილი არსად არ მიდის. ივანიშვილი შეეცდება, შეცვალოს მთავრობის კონსტრუქცია ისე, რომ ძალიან ღიად არ გამოჩნდეს, რომ ისევ ის არის არაფორმალური მმართველი.

– ახალი შეფუთვით შემოგვთავაზებს თავის გუნდს?

– რა თქმა უნდა, ასე იქნება. აუცილებლად შეეცდება, რომ იყოს ახალი შეფუთვა. ჯერჯერობით ეს ძალიან უხეშად გამოსდის. მისი ერთადერთი დასაყრდენი არის ფული.

– ამბობენ, რომ პრემიერიც და ჯანდაცვის მინისტრიც დატოვებენ პოსტებს. სერგეენკო ის მინისტრია წულუკიანთან ერთად, რომელიც 2012 წლიდან უცვლელად მოდის. თუ დასჭირდა, მასაც გაუშვებს ივანიშვილი?

– სერგეენკო დადებითი პიროვნებაა. ხალხში მის მიმართ აგრესია არ არის. გაუშვებენ და წავა, არ დაიკარგება. აი, წულუკიანი და სასამართლო სისტემა არის ივანიშვილისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი.

– წულუკიანს ვერ შეელევა?

– წულუკიანი და სასამართლო სისტემა არის მისი მთავარი დასაყრდენი, რომელსაც იმზადებს მომავლისთვის, როდესაც მას შეექმნება სამართლებრივი პრობლემები. ყველას შეელევა, წულუკიანის გარდა.

წულუკიანი არის ადამიანი, რომელიც ყველაფერზეა წამსვლელი. ივანიშვილს სასამართლოც აბსოლუტურად მართვადი სჭირდება. დანარჩენებს შეცვლის, რა პრობლემაა. გამოვიდა ინფორმაციები, რომ გომელაურს შესწირავს ამერიკის მოთხოვნებს. ალბათ ხელუხლებელი იქნება კიდევ დიდი ხნის განმავლობაში გახარია.

– რატომ?

– რაღაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს ადამიანი სხვა ძალებს ემორჩილება. როგორც შევარდნაძის დროს იყო სპეცსამსახურები და მას სხვა ქვეყნიდან მართავდნენ, მგონია, რომ ამ შემთხვევაშიც რაღაც მსგავსი ხდება.

– ოპოზიციას ძალიან აშინებს და ნერვებს უშლის გახარიაო, ასეა?

– დიახ, გახარია ოპოზიციისთვის ძალიან დიდი პრობლემაა. ჩვენ დავინახეთ, რამდენად ეფექტურია მისი მუშაობა. ეს დავინახეთ სამეგრელოში, ეს დავინახეთ საპრეზიდენტო არჩევნებზე.

– გახარიამ მოიგო ეს არჩევნები?

– მან აიღო პასუხისმგებლობა თავის თავზე და მოიგო. როგორ მოიგო, ეს ყველამ დავინახეთ. ორი ძალა იყო ჩართული ძალიან აქტიურად. ეს იყო, ერთი მხრივ, პოლიცია და მეორე ძალა იყო კრიმინალი. ამას ემატებოდა ივანიშვილის მიერ გამოყოფილი ფული. მიდიოდა კლასიკური სქემა – კვერი და მათრახი. ჯერ აშინებდნენ კრიმინალებით, პოლიციით და შემდეგ შესთავაზებდნენ ფულს. აი, ეს იყო.

– გახარია შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დარჩება დიდხანს თუ დააწინაურებენ?

– შეიძლება, დააწინაურონ. სახლში რომ არ გაუშვებენ, ფაქტია. შესაძლებელია, ეს გადანაცვლებები მოხდეს იმის გამო, რომ საჭირო გახდეს მთავრობის ხელახალი დამტკიცება, ხოლო პარლამენტმა არ დაამტკიცოს ახალი მთავრობა და მივიღოთ კრიზისი და ვადამდელი არჩევნები.

– მაინც ფიქრობთ, რომ ვადამდელი არჩევნები იქნება?

– ვადამდელი არჩევნები ივანიშვილს ძალიან აწყობს, იმიტომ, რომ ოპოზიცია არ არის ჯერ მზად ისე კარგად, როგორც მოემზადება 2020 წლისთვის.

დასავლეთი საარჩევნო სისტემის შეცვლასაც ითხოვს. თუ ვადამდელი არჩევნები ჩატარდა, ეს ვეღარ მოესწრება.

მოკლედ, ბევრი რამ არის იმის მაჩვენებელი, რომ სწორედ ასე იქნება.

„ბახტაძის ახლა მოხსნა ამერიკის წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს“

სოსო ცინცაძე: „გახარიამ რაღაც თვისებები გამოავლინა, ცქიტიშვილი მოზომილი და მორჩილია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მინისტრთა კაბინეტში მოსალოდნელ სამთავრობო ცვლილებებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, კვლავ ვრცელდება საკადრო ცვლილების შესახებ ინფორმაცია. ამბობენ, რომ ამერიკაში ვიზიტის დასრულების შემდეგ პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი ჩაანაცვლებს. რამდენად რეალურია ასეთი საკადრო გადაწყვეტილება?

– ასეთი მაღალი დონის ვიზიტის შემდეგ, თუ, რასაკვირველია, ვიზიტი წარმატებულია და „ქართული ოცნება“ გვეფიცება, რომ წარმატებული ვიზიტი იყო, არ შეიძლება პრემიერი აეროპორტშივე მოხსნა ისე, რომ კაბინეტშიც კი არ შეუშვა.

ეს იქნება ძალიან ცუდი სიგნალი ამერიკელებისთვის, ეს პირდაპირ აღქმული იქნება ამერიკის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად. მე იმას კი არ ვამბობ, რომ მართლაც ვიღაცას სურს ამერიკის წინააღმდეგ გადადგას ნაბიჯი და სწორედ ეს სიგნალი გაუშვას სახელმწიფო დეპარტამენტში – არა, რა თქმა უნდა!

თუ მართლაც მოხსნიან პრემიერ ბახტაძეს ამერიკიდან დაბრუნებულს, ეს იქნება კიდევ ერთი ნიშანი, რომ ამ მთავრობამ ელემენტარული ანბანი არ იცის არათუ დიპლომატიაში, ზოგადად პოლიტოლოგიაში არაფერი გაეგება.

სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან სამი მთავარი საკითხი იყო დაყენებული, როგორც აუცილებლობა: ანაკლიის პროექტის განხორციელების აუცილებლობა, მეორე – სასამართლო და მესამე – თავისუფალი არჩევნები. ამერიკის სამივე მოთხოვნას პრემიერი ბახტაძე დაეთანხმა. შესაბამისად, თუ მოხსნიან ბახტაძეს, ეს ნიშნავს, რომ დადებულ შეთანხმებას ხაზი გადაესვა.

თუ ვინმეს აქვს რეალური ინფორმაცია, ეს, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატებია. ამერიკელებმა მშვენივრად იციან, აქ ვინ არის რეალურად გადაწყვეტილების მიმღები პირი. შესაბამისად, თუ ამ ვიზიტის შემდეგ ბახტაძეს გადააყენებენ, რა გამოდის?!

ამიტომ, მე არ მგონია, რომ 5-6 თვე მამუკა ბახტაძე მოხსნან. თუმცა, ჩვენთან ხომ ყველაფერი უკუღმა ხდება და არც იმას გამოვრიცხავ, რომ დიპლომატიის ამ ელემენტარული კანონის შესახებ არც კი სმენიათ და გაუცნობიერებლად მართლაც მოხსნან მამუკა ბახტაძე ვიზიტის დასრულებიდან რამდენიმე დღეში.

– აქამდე აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია გიორგი გახარიას გაპრემიერებაზე. თუმცა, მოგვიანებით გახარიას გვარი ცქიტიშვილით ჩანაცვლდა. როგორ ფიქრობთ, რატომ არა გახარია?

– მაია ცქიტიშვილი იქნება, გიორგი გახარია თუ მოქმედი პრემიერი ბახტაძე, მერწმუნეთ, ამით არაფერი იცვლება. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი დღის ინტრიგა და მეტი არაფერი.

ყველამ მშვენივრად იცის, შინ თუ გარეთ, ვინ არის რეალურად ქვეყნის პირველი პირი, მეორე პირიც, მინისტრიც და ყველაფერი. ერთადერთი, ვინც ჩვენთან მართლაც ნომინალური იერარქი არ არის, ეს მხოლოდ მისი უწმინდესობა კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეა.

მითხარით, რა შეიცვლება, თუ ბახტაძეს ცქიტიშვილი ჩაანაცვლებს?! გვარი ნამდვილად შეიცვლება პრემიერის გასწვრივ გრაფაზე, მეტი არაფერი.

– იგივეს იტყოდით გახარიას შემთხვევაშიც?

– აი, რაც შეეხება გახარიას, აქ ცოტა, სულ ცოტა განსხვავება არის. გიორგი გახარიამ, ასე თუ ისე, რაღაც თვისებები გამოავლინა, რასაც ოპოზიციაც კი აღიარებს.

– გამოდის, ივანი შვილს შეე შინდა?

– არა, არა! ივანიშვილს, მერწმუნეთ, არავისი ეშინია.

– იქნება გიორგი კვირიკაშვილს შეადარა და იფიქრა, ისეთივე დაუმორჩილებელი რომ აღმოჩნდეს...

– და ამის თქვენ გჯერათ?! გიორგი კვირიკაშვილი სრულიად ნათელია, რასაც შეეწირა. რაც შეეხება გახარიას, ის ბევრად უფრო ჭკვიანი მგონია მე, მაგალითად. შეიძლება ივანიშვილი ვიღაცებს ეკითხება კიდეც – გახარია თუ ცქიტიშვილი? და იქიდან თუ 1 თანახმაა გახარიაზე, მერწმუნეთ, 5 წინააღმდეგი იქნება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ გახარიას ძალიან ბევრი ინფორმაცია აქვს. ბევრი კომპრომატი აქვს – ე.წ. ატკატები, ეს ჩაშლილი ტენდერები, ხომ იცის, თითოეული კომპანიის თუ ტენდერის უკან ვინ დგას. მეორე დღესვე დაიწყებს დაჭერებს. ამით რეიტინგიც მოემატება და კიდევ უფრო გაიმყარებს პოზიციებს.

ამიტომ გახარიას წინააღმდეგი ბევრი იქნება.

რაც შეეხება მაია ცქიტიშვილს: ის, ჯერ ერთი, ქალია. ქალი პირველი პირი ხომ იცით, როგორ დადებითად არის აღქმული ევროკავშირშიც და ამერიკაშიც. მეორე, ცქიტიშვილი ბევრად უფრო მოზომილია, ბევრად უფრო მორჩილია. თან, როდესაც ის ინფრასტრუქტურის მინისტრი გახდა, ხომ ვიცით, ამით ივანიშვილმა რა ცალსახა გზავნილი გაუშვა?!

ივანიშვილი ცქიტიშვილს ენდობა. ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო არის ერთ-ერთი მაღალბიუჯეტინი სამინისტრო.

– თავად ივანი შვილის დაბრუნებას გამორიცხავთ?

– ნამდვილად გამოვრიცხავ! არავითარ შემთხვევაში არ დაბრუნდება იმ ჯოჯოხეთში, რაშიც ერთხელ იყო. ივანიშვილისთვის ეს ნამდვილად არის ჯოჯოხეთი, სხვებისგან განსხვავებით. მით უფრო მაშინ, როდესაც ივანიშვილის რეიტინგი მცოცავ რეჟიმში გადავიდა. ნელ-ნელა ქვევით მოდის.

რაც მართლაც არ ეხება მას, იმასაც კი მას აწერენ. ეს ხაფანგი თავად დაიგო. ხვალ რომ სეტყვა იყოს, იმასაც ივანიშვილს დააბრალებენ.

– 2020 წლისთვის ივანი შვილის ფაქტორი არ იქნება გადამწყვეტი?

– გადამწყვეტი იქნება არა ივანიშვილის ფაქტორი, არამედ ის, თუ ვინ იქნება მთავარი მოთამაშე იმ დროისთვის – ისევ „ქართული ოცნება“ თუ სხვა ვინმე.

„ქართულ ოცნებას“ აქვს მხოლოდ წელიწადნახევარი, ეს ძალიან ცოტა დროა. ერთხელ ზვიად ძიძიგურს ვუსმენდი და იცით, რა თქვა? – თუ არაფერი შეიცვალა, 2020 წლის არჩევნებზე ჩვენ ვინ მოგვცემს ხმასო!

წელიწადნახევარში ქვეყნის ცხოვრების გაუმჯობესება კი არა, ერთი პატარა ოჯახის ცხოვრების გაუმჯობესებაა შეუძლებელი. ამიტომ, ივანიშვილის რეიტინგი კიდევ უფრო დაეცემა, ის კლებად რეჟიმშია გადასული და არა პირიქით. უკმაყოფილო ადამიანთა რიგები ერთიორად იზრდება.

სწორედ ამ სეგმენტზე იმუშავებს ყველა ახლად შექმნილი პარტია. ვნახოთ, როგორ განვითარდება ამ წელიწადნახევარში პროცესები.

ვახტანგ მაისაია: „ფოთის პორტზე ჩინურ-რუსული ინტერესები იკვეთება“

გულიკო ბალაძე

რატომ გააფრთხილა ამერიკის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ საქართველო, არ დაექვემდებაროს რუსულ-ჩინურ ინტერესებს? – ამ თემაზე „ახალი თაობა“ ექსპერტს სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკუთხებში **ვახტანგ მაისაიას** ესაუბრა.

– ბატონო ვახტანგ, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა საქართველოს პრემიერ- მინისტრთან შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენციაზე გვითხრა, რომ არ დავიჯეროთ, ვითომ მეგობრების ჩინეთისა და რუსეთის (საინტერესოა, რომ მან რუსეთი მოიხსენია ჩვენს მეგობრებში) და არ დავექვემდებაროთ მათ ინტერესებს. რაიმე ქვედადინებები იყო იმისა, რომ ჩვენ ვექვემდებარებოდით რუსეთის ან ჩინეთის ინტერესებს?

– ძალიან საინტერესო კონტექსტი იყო. როგორც ჩანს, აქ საუბარია ფოთის პორტზე, სადაც ჩინურ-რუსული ინტერესები იკვეთებოდა და ანაკლიის პორტის შეჩერება ხდებოდა, რაზეც შეხვედრის დროს იყო საუბარი.

– რუსული და ჩინური ინტერესები იკვეთებოდა ფოთის პორტთან დაკავშირებითო, მაგრამ ანაკლიის პორტის საკითხი ხომ გადაწყვეტილია და ის ამერიკულმა კონსორციუმმა უნდა ააშენოს?

– ალბათ, აქ საუბარია ფოთის პორტით ანაკლიის პორტისთვის ხელის შეშლაზე. საერთოდ, ჩინელები ინტერესდებიდან ღრმაწლოვანი პორტებით. მათ გააჩნიათ ასეთი პორტების შეძენის დიდი გამოცდილება. ახლახან ჩინელებმა იტალიაში შეიძინეს ვენეციის პორტი. ღრმაწლოვანი პორტი ჩინელებს აქვთ პაკისტანსა და შრილანკაში. ბანგლადეშში მათ ინვესტიცია ჩადეს ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობასა და მის განვითარებაში.

როგორც ჩანს, ჩინეთს სჭირდება ღრმაწყლოვანი პორტები, რათა განახორციელოს თავისი 400 მილიარდდოლარიანი პროექტი „ერთი გზა, ერთი სარტყელი“. ეს პროექტი გეოსტრატეგიულად უმნიშვნელოვანესია. ამიტომ ამერიკელებისთვის ეს საკითხი მნიშვნელოვანი იყო.

ანაკლიის პორტი არის პროექტ „ერთი გზა, ერთი სარტყელი“, აღმოსავლეთ-დასავლეთის პროექტის, ამ მნიშვნელოვანი კონტინენტალური სავაჭრო მაგისტრალის მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი. ჩანს, ჩინელები დაინტერესებულები იყვნენ და არიან ფოთის პორტის განვითარებით.

– ეს განცხადება საქართველოსთვის გაფრთხილება იყო?

– დიახ, ამერიკის მხრიდან გაფრთხილება იყო. ანაკლიის პორტთან დაკავშირებით 100 მილიონი დოლარი უნდა მოიძიოს უშუალოდ ამერიკულმა კონსორციუმმა. 100 მილიონი დოლარით საქართველოს სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, როგორც ამ პროექტის განხორციელების გარანტორმა, 400 მილიონი დოლარით ბანკების მხრიდან უნდა მოხდეს მშენებლობის დაფინანსება. შეიძლება აქ ჩინურ გარანტიებზეც ყოფილიყო საუბარი.

– ამერიკას ჩინეთთან სავაჭრო ომი აქვს გაჩაღებული. ამიტომ საინტერესოა, მხოლოდ ანაკლიის პორტის მშენებლობის კონტექსტში შეიძლება გვაფრთხილებდეს ამერიკა? ჩვენ ჩინეთთან გარკვეული ხელშეკრულებები გვაქვს. ქვეყნებს შორის გარკვეული ეკონომიკური ურთიერთობებია. ამერიკის სახელმწიფო მდივნის განცხადება ხომ არ გულისხმობს, ვთქვათ, იგივე აბრეშუმის გზის პროექტის ჩაშლას?

– ჩაშლაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩანს, პომპეოს გაფრთხილება ამ ხაზსაც მოიცავდა, რადგან ანაკლიის პორტის პროექტი ყველაზე მსხვილი პროექტია საქართველოსთვის. საუბარია 600 მილიონ დოლარიან პროექტზე. 600 მილიონი დოლარის ჩინური კაპიტალის საქართველოში შემოსვლა, ამერიკისთვის საკმარისად დიდი დარტყმა იქნებოდა.

ამერიკის ადმინისტრაციას საქართველოში რუსული კაპიტალის გაზრდაც არ გამოეპარა. ახლა უკვე აქცენტი რუსულ-ჩინურ გაერთიანებულ პოტენციალზე გაკეთდა, რაც ახალი ფენომენია ჩვენს რეალობაში

ჩინელები ასევე მოლაპარაკებას აწარმოებენ ბულგარელებთან, რუმინელებთან იგივე პროექტების განხორციელებაზე. ასევე თურქეთთან მჭიდრო თანამშრომლობა აქვთ. ახლახან იტალიის პორტებშიც შევიდნენ. ამდენად, ჩინელები, ფაქტობრივად, ხმელთაშუა ზღვა-შავიზღვისპირეთი-კასპიის ზღვის ერთიანი პორტების ხელში ჩაგდებით არიან დაინტერესებული. ჩინეთი ამ კუთხით ძალიან დიდი კაპიტალიზაციის მნიშვნელოვან ეტაპზე გადის.

– პომპეოს განცხადებებში ხომ არ იკითხება ისიც, რომ ჩინეთის მხრიდან საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები წარმოებდა. ცოტა ხსნის წინ, მოგეხსენებათ, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო ჩამოსული.

– ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი წარმატებული იყო. ჩინეთი ასევე საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია. ესეც მნიშვნელოვანი საკითხია. ჩინეთს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში. ის სეპარატისტულ მოძრაობებს გმობს. ჩინეთი არის საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური პარტნიორი. საქართველოსა და ჩინეთს შორის მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობით პროდუქცია ჩინეთიდან შემოდის.

ასევე ჩინეთში ხდება ქართული პროდუქციის იმპორტი. ესეც საკმაოდ მძლავრი სტიმულია. საქართველოში უფრო მეტია ჩინური ინვესტიციები, ვიდრე სხვა ქვეყნების. მათ შორის, იგივე ამერიკის. ამიტომ პომპეოს ამგვარი განცხადება მოულოდნელია. გასაგებია, რომ ამერიკას პირდაპირ სავაჭრო ეკონომიკური ომი აქვს გაჩაღებული ჩინეთთან, რაც გადაიზარდა რუსეთს, ჩინეთსა და ამერიკას შორის დაპირისპირებაში. აქ საუბარია ტაივანის პრობლემაზე, ჩინეთსა და ამერიკას შორის არსებულ ურთულეს პრობლემებზე, ასევე კიბერომზე, რაც ჩინეთის ყველაზე უმსხვილეს კომპანია „ჰუვაველის“ წინააღმდეგ გალაშქრებაში გამოიხატა.

– ამერიკამ თავისი პოლიტიკით ხომ არ უბიძგა ჩინეთს, რუსეთთან ასე ღრმა კავშირებში შესულიყო, როდესაც სავაჭრო ომი გამოუცხადა?

– დიახ, დაპირისპირება, ფაქტობრივად, ტრამპის ადმინისტრაციამ დაიწყო. ეს ტრამპის ულტრანაციონალისტური პოლიტიკის შედეგია. ტრამპს უნდოდა ამერიკული ბაზარი გადაერჩინა ჩინური ექსპანსიისაგან, ასევე მოეხდინა ეროვნულ-ნაციონალური ეკონომიკის აღორძინება, რაც ტრამპმა შეძლო კიდევაც თავისი მკაცრი პოლიტიკით. სამაგიეროდ, ამერიკამ თავისი მკაცრი პოლიტიკით ჩინეთი, როგორც სტრატეგიული პარტნიორი, დაკარგა. ჩინეთი გადავიდა ამერიკის მტრების სიაში. ეს პომპეოს სიტყვაში აშკარად იყო დაფიქსირებული.

– ჩინეთის ინტერესები ღრმაწყლოვან პორტთან დაკავშირებით, გასაგებია, მაგრამ რუსეთის ინტერესები რაში ამოიკითხა ამერიკამ?

– როგორც ჩანს, აქ საუბარია „როსნეფტის“ შემოსვლის მცდელობაზე, რომელიც დაინტერესებული იყო, ასევე ანალოგიური პროექტების განხორციელებით. რუსეთს სჭირდება ღრმაწყლოვანი პორტების განვითარება. რუსეთს სჭირდება სავაჭრო ტერმინალები, იგივე თხევადი გაზის ტერმინალების სისტემის განვითარება, ასევე ტვირთბრუნვების მოცულობის გაზრდა და გამოყენება საპორტო კომუნიკაციებისთვის. ქართული პორტები იმით განსხვავდებიან რუსული პორტებისაგან, რომ მთელი წლის განმავლობაში 24 საათის განმავლობაში მუშაობენ. რუსული პორტები მხოლოდ 6 თვის განმავლობაში მუშაობენ, დანარჩენ პერიოდში გაჩერებულია, რადგან იქ ზღვა იყინება. ამ კუთხით ქართული პორტები რუსეთისთვის მიმზიდველია.

როგორც ჩანს, ამერიკის ადმინისტრაციას საქართველოში რუსული კაპიტალის გაზრდაც არ გამოეპარა. ახლა უკვე აქცენტი

გაგრძელება მე-5 გვერდზე

მირიან მირიანაშვილი: „ვაშინგტონის განცხადებები მომავალში უფრო მწვავე გახდება“

„პომპეოს მინიშნება მხოლოდ ანაკლიას არ ეხებოდა“

მარიამ მჭედლიშვილი

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის გზავნილს საქართველოს პოლიტიკური ელიტის მიმართ ყველამ თავისი ინტერპრეტაცია მისცა. რას ნიშნავს თეთრი სახლის ბოლო განცხადება საქართველოზე? რა ხდებოდა ამერიკაში კულისებს მიღმა? როგორ ებრძვიან ნამდვილ პროდასავლელ პოლიტიკოსებს საქართველოში? ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

მირიან მირიანაშვილი:

– აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მხრიდან აქცენტის გაკეთება სასამართლოზე, არჩევნებსა და ანაკლიის პორტზე – ეს არის პრეტენზიები ბიძინა ივანიშვილის მიმართ და გაფრთხილება. ივანიშვილი გააფრთხილეს იმაზე, რაც შემოდგომიდან იგეგმება.

– რა იგეგმება შემოდგომიდან?

– შემოდგომაზე დაიწყება ახალი დადგმები, პოლიტიკური ვარიაციები 2020-ის თემაზე. არსებობს გეგმა, რომლითაც არჩევნებში გაამარჯვებინებენ კრემლის ფავორიტებს და ამისთვის გამოიყენებენ სასამართლოს. ივანიშვილის ნების შემსრულებელ სასამართლოში არჩევნების შედეგების გასაჩივრება შეუძლებელი იქნება.

– ისევ რუსეთის სცენარით ძალაუფლების გადაბარებაზეა საუბარი?

– ასეთი გეგმები ჯერ ისევ არსებობს, თუმცა სხვა პერიოდი დადგა და რუსეთის ბატონობას წერტილი ესმება. მაიკ პომპეოს განცხადება ადასტურებს ვაშინგტონის გავლენისა და დაინტერესების ზრდას საქართველოში. საქართველო მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძიცაა.

– ამ კვანძის ნაწილი უნდა გახდეს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი?

– სახელმწიფო მდივანმა მიუთითა, რომ ანაკლიას ხელოვნურ ბარიერებს უქმნიან. ამაში მხოლოდ „ქართული ოცნება“ არ სცოდავს. ყალბმა ფაციფუცმა ანაკლიის გარშემო ჩვენი ამერიკელი პარტნიორებიც დააფიქრა. ამაზე მისაუბრია. 3 ივნისის ინტერვიუში „ახალ თაობასთან“ ვთქვი, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობას რუსეთის დავალებით მუდმივად ხელს უშლიდნენ და უშლიან.

ანაკლიის იდეა 30 წელიწადია, არსებობს. პორტის აშენებისთვის მთავრობის განცხადებები, კონსორციუმის ჩამოყალიბება და თათბირები არ კმარა. ამას შესაბამისი სამუშაო სჭირდება, რომელიც არ მიმდინარეობს. იქმნება მშენებლობის იმიტაცია.

ანაკლიის პორტმა ამ დღეებში ახალი დატვირთვა შეიძინა. 11 ივნისს გამოქვეყნებულ აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში გაჩნდა ახალი ჩანაწერი. მის თანახმად, კონგრესი ავალებს აშშ-ის საგარეო უწყებასა და პენტაგონს, წარმოადგინონ პროექტი შავი ზღვის აუზში რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური როლის დამცრობისა და ამერიკის გრძელვადიანი ფიგურირების შესახებ. ეს შესრულდება და საქართველოს უსაფრთხოება დაცული იქნება.

– სხვები რუსეთის ფაქტორზე არ საუბრობენ. ფოთის ნავსადგურის ინიციატივაზე ატყდა ხმაური.

– საქართველო პოლიტიკური ელიტა რუსული პოლიტიკური სამზარეულოს პროდუქტია და ამაზე ხმას რატომ ამოიღებს?! ასეთია ქართული პოლიტელიტის 98%. რუსულ პროდუქტს მიეკუთვნებიან ექსპერტებიც, რომლებიც შეფარულად თუ ღიად რუსეთის ნარატივებს ავრცელებენ.

– სახელმწიფო მდივანმა ჩინეთი ახსენა. იზრდება ჩინეთის გავლენა საქართველოში?

– ჯერჯერობით, ჩინეთის მხრიდან ეკონომიკური დომინაცია შეინიშნება. ჩინეთის პოლიტიკური როლი გაიზრდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში ყველაფრის განმკარგველად დარჩება რუსეთი. მაშინ ჩინური ექსპანსია არ აგვცდება. ჩინური სკოლების გახსნა უკვე იგეგმება. პომპეო ამ ტრენდზე მიანიშნებს. საქართველოში არ იციან, რომ რუსეთი ჩინეთს საქართველოზე ევაჭრება.

– რა თვალსაზრისით?

– რუსეთი საქართველოს ნაწილებად ყიდის. ჩვენი ეკონომიკა რუსეთის ხელშია. აქ რაღაცის დათმობის სანაცვლოდ რუსეთი ჩინეთისაგან სხვა სახის ეკონომიკურ პრეფერენციებს ელოდება.

კრემლმა საქართველო მოშალა და დახლად აქცია. ჩვენი ძალებით ამას ვერ გავუმკლავდებით. აუცილებელია ამერიკული დახმარება და თანადგომა. ბოლო ერთი წელიწადია, ჩინეთის გავლენა საქართველოში შემაშფოთებლად იზრდება. ეს ხდება რუსეთის მონდომებით, კრემლმა შარშან დაინახა აშშ-ის როლის ზრდა საქართველოში და გადაწყვიტა, ამის წინააღმდეგ პეკინიც ჩაერთო.

რუსეთსა და ჩინეთს შორის ჩვენი ქვეყნის თაობაზე ფარული შეთანხმებაა ხელმოწერილი. ამგვარი საიდუმლო გარიგება არსებობდა რუსეთს, თურქეთსა და ირანს შორისაც.

ამდენი ქვეყანა დომინირებს საქართველოში. ამ ფონზე საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება მხოლოდ საშუალო რგოლის როლს ასრულებს. სხვათა შორის, პომპეოს მინიშნება მხოლოდ ანაკლიას არ ეხებოდა.



– კიდევ რაზე იყო მინიშნება?

– გაუთავებელ პოლიტიკურ თვალთმაქცობაზე, მრავალფეროვან სპექტაკლებზე, რომლებსაც დრამატურგები მოსკოვში ჰყავთ. საქართველოს პოლიტიკაში რუსებისგან დამოუკიდებლად არაფერი ხდება. ეს ეხება პანკისისა და ჭიათურის მოვლენებს, ნაცებისა და ქოცების კინკლაობას, ნაცმოძრაობის გაყოფას, „ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის დაშლას, ახალ ვითომ ოპოზიციურ მოძრაობებს, სადაც მის დამფუძნებლებს თითქოსდა ივანიშვილთან კონფლიქტი აქვთ.

კრემლში მუშავდება ძალაუფლების გადაბარების ახალ-ახალი გეგმები.

– თეთრი სახლი არ ტყუვდება და ამაზე უკვე ღიად მიანიშნებს?

– ასეთი ხისტი განცხადება მანამდე არ ყოფილა. არადა, ამერიკელებმა ადრეც იცოდნენ, რა ხდებოდა. ისინი საქმის კურსში იყვნენ, მაგრამ მოჭარბებული თავაზიანობით ექცეოდნენ საქართველოს ხელისუფლებებს.

თუ ბიძინა ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ დასავლეთს ატყუებს, თუ მას ამერიკელები ასეთი მიამიტები და უცოდინრები ჰგონია, არაფრის აზრზე არ ყოფილა. თუ იცის, რომ ვაშინგტონში მისი მონაწილეობით მოწყობილ რუსულ ცუღლუტობებს ხვდებიან, მაშინ ამერიკის პრეტენზიები არ უნდა გაუკვირდეს.

– რა მოლოდინი გაქვთ? პრეტენზიები კიდევ იქნება?

– ვაშინგტონის განცხადებები მომავალში უფრო მწვავე გახდება. მოდის საპარლამენტო არჩევნები. მოსალოდნელია ახალი რუსული სცენარების ამუშავება. ამერიკაში ინფორმირებული არიან იმაზე, როგორ უტეხენ სახელს დასავლურ ფასეულობებს და როგორ ზღუდავენ პროდასავლელ პოლიტიკოსებს საქართველოში. ამკვიდრებენ აზრს, თითქოს დასავლეთი მარტო ერთნაირსქესიანთა ქორწინებებია. პროდასავლურებად ასაღებენ რუსეთიდან მართულ ჯგუფებს.

ამერიკაში მშვენივრად უწყიან ამ ფსევდოდასავლურების ანატომია. მე, პროდასავლელ პოლიტიკოსს, ტელევიზიებში გამოჩენა აკრძალული მაქვს. საკაშვილიც მდევნიდა და ივანიშვილიც მავიწროებს. 30 წელიწადია, პოლიტიკაში ვარ, დავაფუძნე 3 სახელისუფლებო ძალა (მრგვალი მაგიდა, რეფორმატორთა კავშირი, ნაცმოძრაობა). ნაცმოძრაობა საკაშვილმა მიიწერა. რეფერენდუმი დამოუკიდებლობის შესახებ, მათ შორის, აფხაზეთის ტერიტორიაზე, ჩემი ჩატარებულია. ვესწრებოდი იმ ყრილობას, რომელმაც საბჭოთა კავშირი დაშლილად გამოაცხადა.

შევარდნაძის დროს, ეროვნული თანხმობის პროცესის ეგიდით, 400 ზვიადის მიმდევარი გამოვაშვებინე ციხიდან. დღესაც მაქვს კავშირები. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციები გამოსადეგია ივანიშვილისა და „ქართული ოცნებისათვის“, მაგრამ ტელევიზიები გზა გადაკეტილი მაქვს. „ახალი თაობისა“ და ხალხთან უშუალო შეხვედრების წყალობით ვახერხებ საზოგადოების ინფორმირებას.

თქვენმა მკითხველმაც იცის, რომ ჩემი პროგნოზები და ინფორმაციები მართლდება. ვაშინგტონისგან სხვა პრეტენზიები ივანიშვილის მიმართ გასაოცარი არ უნდა იყოს შექმნილ რეალობაში. ჩემი სახით ხელისუფლება ებრძვის პროდასავლელ პოლიტიკოსს. ვინც რუსეთის ამოცანების შესასრულებლად სჭირდება, იმას თავს ევლება. მაგალითად, „ოცნების“ ხელისუფლება ადმინისტრაციულ რესურსს ანტიდასავლური „პატრიოტთა ალიანსის“ სასარგებლოდ იყენებს.

– იმის თქმა გინდათ, რომ „ალიანსს“ აქციებზე ხალხს ხელისუფლება უგროვებს?

– როგორც შენობებში, ისე ქუჩებში „პატრიოტთა ალიანსს“ შეკრებების დროს ივანიშვილის ხელისუფლება უქმნის მასას. ეს პარტია ამბობს, რომ სამხედრო ხარჯები უნდა შემცირდეს, საქართველო არ უნდა მონაწილეობდეს სამხედრო მისიებში და უარი უნდა თქვას ნატოზე.

ივანიშვილი და მის მიერ მართული ტელეკომპანიები ხელს უწყობენ „პატრიოტთა ალიანსსა“ და ფსევდოდასავლურ სპექტრს, ანუ მათ, ვინც პირდაპირ რუსეთიდან იმართება. ვაშინგტონში ეს კარგად იციან.

ამერიკელების აქტიურობა ჩვენთან აღმავალი და შეუქცევადია, რაც ბოლოს მოუღებს რუსული აგენტურის 30-წლიან პარპაშს საქართველოში.

დავით სერგეენკო თანამდებობას ტოვებს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო თანამდებობას ტოვებს. ამის შესახებ „ჯი-ეიჩ-ენს“ წყარომ აცნობა.

„ჯი-ეიჩ-ენი“ დაუკავშირდა სამინისტროს პრესამსახურს, რომელმაც აღნიშნული ინფორმაცია არ დაადასტურა.

წყაროს ინფორმაციით, სერგეენკომ სამუშაო კაბინეტიდან საკუთარი ნივთები უკვე გაიტანა, რასაც ასევე არ ადასტურებენ პრესსამსახურში.

„ჯი-ეჩ-ენისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე ორი კანდიდატურა განიხილება, პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე და მეორე კანდიდატი სააჩხერის საავადმყოფოს ერთ-ერთი თანამშრომელია, რომლის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

„ჯი-ეიჩ-ენი“, ინფორმაციის გადასამოწმებლად პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძეს დაუკავშირდა. პარლამენტარმა, მისი კანდიდატურის ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე განხილვასთან დაკავშირებით უარყო, ასევე უარყო დავით სერგეენკოს თანამდებობის დატოვების შესახებ ინფორმაცია.

– 6 თვე არ გავა, რომ სერგეენკოს წასვლაზე ჭორი არ გავრცელდეს. რა თქმა უნდა, არ ვადასტურებ ამ ინფორმაციას, – განაცხადა აკაკი ზოიძემ „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში.

ვახტანგ მაისაია: „ფოთის პორტზე ჩინურ-რუსული ინტერესები იკვეთება“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

რუსულ-ჩინურ გაერთიანებულ პოტენციალზე გაკეთდა, რაც ახალი ფენომენია ჩვენს რეალობაში. ვფიქრობ, ჩვენთან ბოლომდე არ ჰქონდათ აღქმული ამ ახალი მსოფლიო წესრიგის კონტურების აქტი, ტენდენცია, სადაც ევრაზიული მსოფლიო წესრიგის ელემენტები ჩნდებოდა ამერიკული ლიბერალური მსოფლიო წესრიგის საპირისპიროდ.

უკვე შემდგარი ფაქტია, რომ ახალი ცივი ომი დაიწყო ევრაზიული გავლენის ცენტრსა და ატლანტიკურ ცენტრს შორის. ეს ჩვენთან, ეტყობა, ნაკლებად იყო აღქმული, ბოლომდე არ იყო შეცნობილი, რაზე იყო საუბარი. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ამერიკის ადმინისტრაციამ მოიყვანა აზრზე.

– ჩვენ თუ შევამჩნიეთ, რომ რუსეთში ჩინეთის პირველი პირი ჩავიდა და უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს მოაწერა ხელი, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ შეამჩნიეს?

– თქვენი გაზეთის საშუალებით ამ თემებზე ჯერ კიდევ 6 თვის წინ ვლაპარაკობდი. როგორც ჩანს, ამერიკელები ეწინააღმდეგებიან აღმოსავლეთ-დასავლეთის საკონტინენტთაშორისო მაგისტრალის მშენებლობასაც.

– რატომ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ აღმოსავლეთ-დასავლეთის საკონტინენტთაშორისო მაგისტრალის მშენებლობას?

– ამერიკელები აპირებენ ჩრდილოეთ-სამხრეთის ანალოგიური სავაჭრო მაგისტრალის მშენებლობას, რომელიც მოიცავს ბალტიის ზღვის აკვატორიას, შავი ზღვის აკვატორიასა და სპარსეთის ყურის აკვატორიას. საქართველოში ამ პროექტის შესახებ, საერთოდ, არ იციან. ახლახან ევროპაში ვიმყოფებოდი და იქ იყო ამაზე საუბარი.

– ანუ ამერიკელები აბრეშუმის გზის საწინააღმდეგო პროექტის განხორციელებას გეგმავენ?

– ეს იქნება ახალი დერეფანი, რომელიც, ფაქტობრივად, ახალი აბრეშუმის გზის (უკვე ჩინეთ-რუსეთის) საპირისპირო პროექტი. როგორც ჩანს, ამ ორი პროექტის დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე.

– საქართველო ამერიკის ახალი პროექტის მიზნებში ჯდება?

– საქართველო, რა თქმა უნდა, ამ პროექტში გათვალისწინებული იქნება. ამერიკული კონსორციუმის დაინტერესება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობით შემთხვევითი არ არის.

– თუ აბრეშუმის გზის პროექტი არ განხორციელდება, ჩვენ ამერიკის ახალ პროექტში მონაწილეობას მივიღებთ?

– ბუნებრივია, მაგრამ ეჭვი მეპარება, ჩინეთმა უარი განაცხადოს „აბრეშუმის გზის“ პროექტის განხორციელებაზე. ჩინელები ძალიან მკაცრი და პრინციპული მომლაპარაკებლები არიან. ჩინეთი ასევე დაინტერესებულია საბერძნეთის პორტებით, მოლაპარაკება ჰქონდა იტალიის მთავრობასთან. აქ საუბარია ევროკავშირ-ჩინეთის თანამშრომლობაზე. ევროკავშირის იმ ქვეყნების თანამშრომლობაზე, რომლებიც რაღაც კუთხით არ იზიარებენ ატლანტიკურ მიდგომებს.

საინტერესოა ისიც, რომ ჩინეთი და თურქეთი სტრატეგიული პარტნიორები არიან არა მხოლოდ ეკონომიკის, ასევე სამხედრო მრეწველობის კუთხით. თურქეთის თავდაცვის მინისტრმა დაგმო ამერიკის თავდაცვის მინისტრის წერილი. განაცხადა, რომ თურქეთი ამას არ შეეგუება. შეიძლება თურქეთი, საერთოდ, გამოვიდეს ეფ-35 სტრატეგიული ბომბდამშენის მშენებლობის მრავალმილიარდიანი პროექტიდან. ამიტომ თურქეთს შეუჩერეს ამ პროექტში მონაწილეობა. თურქეთს 31 ივლისამდე აქვს მიცემული ვადა, თუ თურქეთი უარს იტყვის რუსული სტრატეგიული შეიარაღების შესყიდვისაგან, პროექტი ჩაიშლება. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს ჩინეთ-თურქეთის პარტნიორობას.

– ამ სიტუაციაში, როდესაც დიდი სახელმწიფოების ინტერესების შეჯახებასთან გვაქვს საქმე, საქართველომ როგორ უნდა იმოქმედოს? აბრეშუმის გზის პროექტის განხორციელებისთვის ჩვენი ხელისუფლებები, მგონი, 30 წელი მუშაობდნენ.

– ამ სიტუაციიდან გამოვყოფ რუსეთს. რუსეთი ჩვენი მტერია. მასთან საომარ მდგომარეობაში ვართ, მაგრამ ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ ურთიერთობას მაინც ვავითარებთ. საქართველოში რუსი ტურისტების ბუმია. აშკარად შეიმჩნევა რუსულნომრიანი მანქანების გადაადგილება. ზოგიერთები ისე გადაადგილდებიან, თითქოს სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში დაიარებოდნენ, სატრანსპორტო წესებსაც არღვევენ. ჩინეთთან კი, განსაკუთრებით გაძლიერებულია სავაჭრო ურთიერთობები. ვფიქრობ, ამ ქვეყნების დაპირისპირება პირდაპირ იმოქმედებს საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაზე. შეიძლება ამან გავლენა იქონიოს 2020 წლის არჩევნებზეც.

– რას გულისხმობთ? პომპეომ მოგვიწოდა თავისუფალი არჩევნები ჩაატარეთო.

– ეს მოწოდება კეთილი სურვილების კონტექსტში იყო ნათქვამი, მაგრამ რეალურად, ამერიკის სიგნალური დიპლომატიის მთავარი მესიჯი შეიძლება სწორედ ანაკლიის პორტთან დაკავშირებით შექმნილი ვითარება იყოს.

თუშეთში პიკაპი ხევში გადავარდა

1 ადამიანი დაიღუპა, 1 დაშავდა

14 ივნისს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა თუშეთის გზაზე – მე-18 კილომეტრზე, გზიდან ავტომობილი გადავარდა.

თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ მანქანაში ტურისტები ისხდნენ.

– შეტყობინება შემოვიდა, რომ, სავარაუდოდ, ტურისტების მანქანა არის გადავარდნილი. სავარაუდოდ, არის მსხვერპლი, არიან დაშავებულები. რაოდენობა არ ვიცი. პირდაპირ გაემგზავრა მუნიციპალიტეტის მერი და მე დავრჩი ადგილზე, – უთხრა კურიერს ახმეტის მერის მოადგილემ ალექსანდრე ნასყიდაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, მანქანაში, სავარაუდოდ, მოტოციკლისტები ისხდნენ.

– მოტოციკლის მოყვარულები ყოფილან, სავარაუდოდ. პიკაპის მარკის მანქანაზე დებულა ეს მოტოციკლები. პიკაპის მარკის მანქანა იყო, რომელიც გადავარდა. დანარჩენი დეტალები არ ვიცი, უცხოელები არიან, – განაცხადა ნასყიდაშვილმა.

მანქანის გადავარდნის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა, 1 კი დაშავებულია.

„ინტერპრესნიუსს“ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურში განუცხადეს, რომ დაშავებულია 40 წლის მამაკაცი, რომელსაც მრავლობითი დაზიანებები აღენიშნება. ის თელავში, ყამბარაშვილის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს.

მოგვიანებით გაირკვა, რომ მანქანაში საქართველოს მოქალაქეები ისხდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სავარაუდოდ, ავტომობილის მძღოლმა ვერ დაიმორჩილა მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა, გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და გადავარდა ხევში. მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტმა ფშაველი-ომალოს მე-18 კმ-ზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო.

სავარაუდოდ, ავტომობილის მძღოლმა ვერ დაიმორჩილა მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა, გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და გადავარდა ხევში.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაცვლილია ავტომობილის მგზავრი, 1984 წელს დაბადებული მამაკაცი, საქართველოს მოქალაქე. აღნიშნული ავტომობილის მძღოლი, ასევე საქართველოს მოქალაქე კი დაშავებულია, რომელიც გადაყვანილია საავადმყოფოში.

ადგილზე იმყოფებიან პოლიციის და სამაშველო სამსახურის თანამშრომლები. მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები“ – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

„ამბები ჯის“ ინფორმაციით, გარდაცვლილი მამაკაცი კონსტანტინე ღუზურაულია. იგი თელავში ცხოვრობდა.

– როგორც ვიცი, თუშეთში საქონელი აცილა და იქიდან ბრუნდებოდნენ, როდესაც ეს ტრაგედია მოხდა. კონსტანტინე მძღოლის გვერდით იჯდა, – განუცხადა ამბებს თუშეთის გამგებელმა ლადო კახოიძემ.

„აუღია ნაჯახი და ერთისთვის თავი გადაუხლეჩია, მეორესთვის ზურგში ჩაურტყამს“

რა მოხდა ახალციხეში

14 ივნისს, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ანდაში მომხდარი ჩხუბის შედეგად 2 კაცი დაშავდა.

დაშავებულები საავადმყოფოში არიან გადაყვანილები.

როგორც ადგილობრივებმა „სამხრეთის კარიბჭესთან“ განაცხადეს, ჩხუბი სოფელ ანდაში მოხდა.

მეზობლები დაპირისპირების ზუსტ მიზეზებზე ვერ საუბრობენ, ორივე დაშავებული შუახნის კაცია.

– ეს ბიჭი, რომელმაც ნაჯახი ჩაარტყა, დაშავებულებთან მისულა კარტოფილის სათხოვნელად. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ აუღია ნაჯახი და ერთისთვის თავი გადაუხლეჩია, მეორესთვის ზურგში ჩაურტყამს, – ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი.

მისი თქმით, ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ორი ჯგუფი იყო გამოძახებული. დაშავებულები ახალციხის რეფერალურ ჰოსპიტალში გადმოიყვანეს. აქედან ერთის მდგომარეობა მძიმეა და თბილისში გადაიყვანეს, მეორე

კი ახალციხეში დარჩა.

საავადმყოფოსთან მობილიზებულები იყვნენ სამართალდამცველებიც.

მოგვიანებით სამართალდამცველების მიერ ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ბრალდებულის სახით დაკავებული იქნა 1977 წელს დაბადებული თ.ი.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე, ან უვადო ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდებულმა თანასოფლელებს 1963 წელს დაბადებულ გ.ბ.-ს და 1955 წელს დაბადებულ რ.ბ.-ს თავის არეში ბასრი საგნით ჭრილობები მიაყენა.

„კაი, ბიჭი აიტანს ცემას, მაგრამ ქალები და გოგოები მაგას ვერ უძლებენ“

რას ყვებიან ისრაელიდან გამოძევებული ქართველები

ისრაელიდან საქართველოს დეპორტირებული მოქალაქეების ნაწილი 14 ივნისს თელ ავივიდან სპეცრეისით ჩამოფრინდა.

სამშობლოში იძულებით დაბრუნებულები ადასტურებენ, რომ საბუთები მოწესრიგებული არ ჰქონდათ.

ისინი დაკავების შემდეგ არაადამიანურ მოპყრობაზე საუბრობენ და საქართველოს საკონსულოს უყურადღებობაში ადანაშაულებენ.

მათივე განცხადებით, ისრაელში ქართველთა დაკავებები გახშირდა და ამ დროისთვის დეპორტაციის მოლოდინში ათეულობით ქართველია.

– ოჯახის გულისთვის ვართ გასული, რომ ორი კაპიკი ვიშოვოთ, ეს ერთი და მეორე – კარის დანგრევა, შემოცვენა, არაადამიანურად მოპყრობა? ბიჭები დაღლილები არიან. კაი, ბიჭი აიტანს ცემას, მაგრამ ქალები და გოგოები მაგას ვერ უძლებენ. არ არის ეგ ადამიანური მოპყრობა, როგორც ეგენი გვექცევიან და ხანდახან, რომ ვეკითხებით, რატომ ხდება ასე, გვპასუხობენ – არ გვაინტერესებს, მოგაქციოთ თქვენმა მთავრობამ ყურადღებაო.

არ გვყოლია მთავრობა ჩვენ. ერთს რომ ურეკავენ, არ მცალია, არ მცალიაო, რას აკეთებს, ვერ გავიგე, ციხეში თუ ადამიანს ყურადღება არ მიაქცია, რომ თავის დროზე სახლში წამოვიდეს, – განაცხადა თამაზ ბერელიძემ.

საკონსულოში კი განმარტავენ, რომ სადეპორტაციო ცენტრი, სადაც საქართველოს მოქალაქეები არიან მოთავსებულები, საბაზისო სტანდარტებს შეესაბამება.

32 წლის ნათია სუბელიანს სამზარეულოში გულის შეტევა მოუვიდა. ამ დროს ის სახლში მარტო იყო

რუსთავში, XX მიკრორაიონში გარდაცვლილი ახალგაზრდა ქალი, 32 წლის ნათია სუბელიანია.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ქალი ბინაში მარტო იმყოფებოდა, როდესაც გულის შეტევა დაემართა.

ოჯახის ახლობლები პირად საუბრებში აცხადებენ, რომ მას, სავარაუდოდ, თრომბი განუვითარდა.

გარდაცვლილი ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს. უეცარი გარდაცვალების ზუსტ მიზეზს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურო დაახლოებით 2 კვირაში დაასახელებს.

ბინა ჩაკეტილი იყო, რის გამოც ადგილზე მაშველები გამოიძახეს, ახალგაზრდა ქალი გარდაცვლილი სამზარეულოში ნახეს, ის, სავარაუდოდ, საჭმლის გაკეთებას აპირებდა

ნათია სუბელიანს 2 მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

შსს-მ თ.კ. იარაღის არსენალით დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 1974 წელს დაბადებული თ.კ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული თბილისში იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი ავტომანქანით გადაადგილდებოდა.

პოლიციამ, დაკავებულის მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის ჩხრეკისას, მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, „ჩეზეს“ სისტემის პისტოლეტი და „ჰეკლერ-კოხის“ სისტემის ავტომატი, სხვადასხვა სისტემის იარაღის 6 მჭიდი და 126 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს, რომლებზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საბერძნეთში ქართველი ემიგრანტი გარდაიცვალა

საბერძნეთში, ათენში, ქართველი ემიგრანტი ნანა სვანიშვილი გარდაიცვალა. ინფორმაციას ამის შესახებ სოციალურ ქსელში ნანა თევდორაშვილი ავრცელებს.

– ნანა ხაშურელი, ჩვენი ნანა, უწყინარი, მშვიდი, კეთილი ქალბატონი.

ცუდად გახდა და 5 წუთში გული გაუჩერდაო.

ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ. ეს ძლიერი ქალი უძლური აღმოჩნდა და დაემორჩილა სიკვდილს. რამდენიმე თვის წინ მეტაქსას საავადმყოფოში შემხვდა, დილაადრიან თვალცრემლიანი იყო. ერთი თვე ვუვლიდი და ამ დილით გარდამეცვალა, ვერაფერი ვუშველე ბაბუასო.

ყველას ტკივილი გულთან მიჰქონდა, ამიტომაც ვეღარ გაუძლო მისმა გულმა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ნანა, – წერს ნანა თევდორაძე.

ლევან ვასაძე: „გარყვნილების ზეიმს არ დავუშვებთ, გახარია, მოდი, მოგვიხადე ბოდიში!“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

გამომდინარე მიმდინარე ორ აქციას შორის იყო მოწყობილი.

სამართალდამცველებმა მათ საპირისპირო აზრის მქონე ჯგუფთან მიახლოების, ასევე სიტუაციის ესკალაციის უფლება არ მისცეს და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობისთვის ადგილზე დააკავეს. დაკავებულები გადაყვანილი არიან პოლიციის განყოფილებაში“ – აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

ამის შემდეგ მთავრობის კანცელარიასთან პოლიციასა და კონტრაქციის მონაწილეებს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა.

კონტრაქციის მონაწილეებმა ლგბტ აქციის მონაწილეებთან მიახლოება სცადეს, რასაც შეხლა-შემოხლა მოჰყვა.

ამ დროს სამართალდამცველებმა კიდევ ერთი პირი დააკავეს. მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ლგბტ აქციის ერთ-ერთ მონაწილეს.

კონტრაქციის დაკავებულ პირთა რაოდენობა 5-მდე გაიზარდა.

დაკავებებთან დაკავშირებით ლევან ვასაძემ ასეთი კომენტარი გააკეთა:

– რა უფლებით დაკავეს ჩვენი აღშფოთებული თანამოქალაქეები. ნარკომანებთან და პერვერტებთან ხომ უყვართ ბოდიშების მოხდა, მოვიდნენ და აქ მოგვიხადონ ბოდიში. მაინცდამაინც ისე უნდა ვხაოდეთ და ვღაოდეთ, როგორც ნარკომანები ღნაოდნენ ამ მოედანზე? ვეძახი გახარიას, რომ მიხვედი, შე კაი კაცო, ნარკომანებს ბოდიშები უხადე, აგერ ვდგავართ და მოდი, მოგვიხადე ბოდიში.

* * *

– არ არის გამორიცხული, რომ ჩვენ თვითონ დავშალოთ ეს აქცია, – განაცხადა გურამ ფალავანდიშვილმა.

როგორც მან აღნიშნა, თუ პოლიცია კიდევ დაიცავდა ლგბტ თემის წარმომადგენლების აქციას და არ აღკვეთდა მათ პროვოკაციებს, კონტრაქციის წარმომადგენლები თავად დაშლიდნენ მათ აქციას.

– არ არის გამორიცხული, რომ ჩვენ თვითონ დავშალოთ ეს აქცია, თუ პოლიცია მათ ასეთ კორდონს შეუქმნის და კიბეებზე დატოვებს პროვოკატორებს, რომლებიც მაღლა სწევენ თავის პლაკატებს და გადასცემენ უცხოეთში, თუ როგორც ჩაგრავენ თავიანთ ქვეყანაში.

სწორედ ეს არის მათი მიზანი, მათ სურთ ჩვენი სულიერი გაუპატიურება, – აღნიშნა ფალავანდიშვილმა.

მან დააანონსა თანამოაზრეებთან ერთად ორგანიზაციის შექმნა, რომელიც დაიცავს სამართლიანობას და ლგბტ თემის წარმომადგენლებს არ მისცემს მსგავსი ღონისძიებების ჩატარების უფლებას.

* * *

„(ჰომოსექსუალები) თუ არ შეინანებენ, ჯოჯოხეთში დაიწვებიან“ – ეს ლოზუნგი მთავრობის ადმინისტრაციასთან „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეებს ჰქონდათ.

ისინი იზიარებენ საპატრიარქოს მიერ 14 ივნისს გავრცელებულ განცხადებას, რომელშიც საპატრიარქომ ხელისუფლებას მოსთხოვა, არ მისცეს ორგანიზატორებს თბილისი პრაიდის ჩატარების უფლება.

აქციის ერთ-ერთმა მონაწილე სასულიერო პირმა თქვა, რომ ისინი „სოდომ-გომორული ცოდვის“ პროპაგანდას აპროტესტებენ.

– ძალადობა არაფერ შუაში აქ არ არის, ჩვენ აქ ვდგავართ, რომ გავაპროტესტოთ ჩვენი აქ ყოფნით. ყოველგვარი სოდომ-გომორული ცოდვის პროპაგანდაზეა ლაპარაკი.

ექიმს სძულს ავადმყოფობა, თორემ პაციენტი უყვარს, გესმით? ჩვენ ყველა, სამწუხაროდ, ცოდვილები ვართ, მაგრამ აქ ლაპარაკი არის პროპაგანდაზე, – განაცხადა სასულიერო პირმა.

ახალგაზრდა სერფინგისტს თავს ზვიგენი დაესხა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატში ზვიგენი თავს დაესხა ახალგაზრდა მამაკაცს და ფეხზე უკბინა.

აღნიშნული ინციდენტი 11 ივნისს მოხდა. 19 წლის ოსტინ რიდი მეგობართან ერთად სერფინგით იყო დაკავებული, როდესაც იგრძნო, რომ წყალში ფეხზე რაღაცამ უკბინა. ყმაწვილის თქმით, ის იმწამსვე მიხვდა, რომ ზვიგენი დაესხა თავს, ამიტომ შეეცადა, რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნებულიყო ხმელეთზე.

ის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად დაუყოვნებლივ გადაიყვანეს საავადმყოფოში. მთელი ამ დროის განმავლობაში რიდი სტაბილურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ექიმებს მშვიდად ესაუბრებოდა. მან აღნიშნა, რომ მტაცებელმა თევზმა მარჯვენა ფეხის ძვალი დაუზიანა, თუმცა ამის გამო ამპუტაცია არ ემუქრება.

რიდმა ასევე განაცხადა, რომ სერფინგისთვის თავის დანებებას არ აპირებს და პლაჟზე აუცილებლად დაბრუნდება.

სამხედროებმა უმართავი სატვირთო მანქანა გააჩერეს

გერმანიის ფედერალური მიწა ტიურინგიას ქალაქ გერას მახლობლად გზატკეცილზე სამხედრო მოსამსახურეებმა უმართავი სატვირთო მანქანის შეჩერება მოახერხეს.

– კაპრალი კრისტოფერ ზაიდელი და მე დრეზდენისკენ მივემართებოდით ა4 გზატკეცილზე, – განაცხადა შტაბს-სერჟანტმა ფრიდემან ფრიშკომ, – ჩვენ დავინახეთ, რომ 40-ტონიანი სატვირთო, რომელიც ჩვენ წინ მიდიოდა, გზის გამყოფ ხაზზე გადავიდა, შემდეგ კი თავის ზოლს დაუბრუნდა.

ორი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც ზაიდელსა და ფრიშკოს მიჰყვებოდნენ, სატვირთო მანქანას წამოეწივნენ და მიხვდნენ, რომ მძღოლს გონება ჰქონდა დაკარგული. ერთ-ერთი მათგანი შეეცადა, მიმავალ მანქანაზე გადასულიყო და მის კაბინაში შეეღწია, მაგრამ ამის გაკეთება ვერ მოახერხა.

ამის შემდეგ ფრიშკომ გაუსწრო უმართავ სატვირთოს, მის წინ დაამუხრუჭა და თავისი მანქანით მისი შეჩერება შეძლო.

– მე ვფიქრობდი, რომ ამას უეჭველად შევძლებდი, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, რაიმე საშინელება მომხდარიყო, – განმარტა ფრიშკომ.

მიუხედავად იმისა, რომ ექიმები შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად მივიდნენ, სატვირთო მანქანის 67 წლის მძღოლის გადარჩენა ვერ შეძლეს. ის ოდნავ მოგვიანებით გარდაიცვალა.

ქალი სათამაშო მანქანის მართვისთვის დააპატიმრეს

ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატში ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქალი გზატკეცილზე სათამაშო მანქანით გავიდა.

25 წლის მეგან დანიელ ჰოლმანი პოლიციამ მას შემდეგ დააკავა, რაც მათ უცნობმა პირმა ქალის უცნაური ქცევის შესახებ შეატყობინა: ის გზაზე საბავშვო მანქანით გადაადგილდებოდა. პოლიციელებმა დაადგინეს, რომ მეგანი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

დაკავებული სახლიდან 1.5 კილომეტრში აღმოაჩინეს. ჰოლმანს საზოგადოებრივ ადგილას არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნის ბრალდება წაუყენეს და საპყრობილეში მოათავსეს, თუმცა შემდეგ გირაოთი გაათავისუფლეს.

ფეისბუქში ამერიკელის გვერდის თანახმად, ის მარტო ზრდის ორ ბავშვს – ბიჭსა და გოგონას. ჰოლმანის მიერ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ფოტოსურათზე აღბეჭდილია, თუ როგორ თამაშობენ მისი ბავშვები სათამაშო მანქანით, რომელიც ძალიან ჰგავს იმას, რომლითაც ქალი დააკავეს.

მიხეილ ცაგარელი: „ირაკლი კობახიძე პოლიტიკაში ტივტივებს“

ეკა ირემაშვილი

ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი აღნიშნავს, რომ წლევანდელი წელი ყველაზე წარმატებული მშვილდოსნებისთვისაა, ამიტომაც ამ ნიშნის მატარებელ პოლიტიკოსებს წელს ყველაფერი შესანიშნავად ექნებათ.

„ახალი თაობა“ უახლოესი პოლიტიკური სიახლეების შესახებ მიხეილ ცაგარელს ესაუბრა:

– რა ეტაპია ქართულ პოლიტიკაში?

– ახლა არის პერიოდი, როცა ბევრი ძველი სახე კვლავ გამოჩნდება პოლიტიკაში, ისინი ისევ გააქტიურდებიან. ირაკლი ღარიბაშვილი იყო პირველი მერცხალი ძველი პოლიტიკოსებიდან, რომელიც ისევ დაბრუნდა, თუმცა ვერაფერი ვერ ვნახეთ მისი დაბრუნებიდან. ძველი პოლიტიკოსების დაბრუნება არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი იქნება სასარგებლო და კარგი. ირაკლი ღარიბაშვილი რაც დაბრუნდა, ჩვენ პრაქტიკულად ვერ ვხედავთ ვერანაირ ბერკეტს მის ხელში.

– ალბათ ამის დასტურია ქალბატონი ნინო ბურჯანაძის გამოჩენაც?

– დიახ. რაც შეეხება ქალბატონი ნინო ბურჯანაძის შემთხვევას, მისი პოლიტიკაში დაბრუნება უნდა მომხდარიყო ან გასულ წელს, ან მომავალ წელს. შარშან მისთვის იყო საუკეთესო წელი, ასევე იქნება მომავალი წელი.

– სამაგიეროდ, სულ აქტიურია მიხეილ სააკაშვილი...

– ვერ დაგეთანხმებით. მშვილდოსნებს ვუთხარი, რომ დრო იყო, ისინი ცოტა ხნით გაუჩინარებულიყვნენ. ეს არ გააკეთა სააკაშვილმა, სამაგიეროდ, გააკეთა ალასანიამ. სანამ სააკაშვილი არ დაიჭირეს, მანამდე არ დამშვიდდა. შემდეგ იყო პერიოდი, როცა ის ცოტა ხნით გაერიდა სიტუაციას და არ ჩანდა. ახლა კი ისევ გამოჩნდა. ეს წელი არის მისთვის ერთ-ერთი საუკეთესო. სააკაშვილის დიდი შეცდომა იყო ის, რომ მან ზუგდიდის მერის პოსტზე წარადგინა სანდრა რულოვსის კანდიდატურა, რომელიც დამარცხდა. არადა, საუკეთესო კანდიდატურა იყო ნიკა მელია, რომელიც ასევე მშვილდოსანია.

ნიკა მელიას ჰქონდა ძალიან დიდი შანსი, მოეგო ზუგდიდის მერის არჩევნები. თავის დროზე მას შევუდგინე პირადი ჰოროსკოპი და მაშინ ყველაფერი კარგად ჰქონდა. ახლაც მიხეილ სააკაშვილისთვის ბრწყინვალე პერიოდია, ის დაბრუნდა უკრაინაში, გაილაღებს და ყველაფერი კარგად ექნება.

– საქართველო თუ არის მის ინტერესებში?

– სანამ უკრაინაში კარგად იქნება, მისთვის საქართველო ნაკლებად იქნება პრიორიტეტული. უკრაინა სულ სხვა დონეა და საქართველო მას ნაკლებად აღელვებდა. საქართველოში დასაყრდენი ჰყავს დანაწევრებული ნაციონალური პარტია და სანამ პარლამენტში მისი ძალა არ მივა, მანამდე აქაურობაზე არ იფიქრებს.

– მშვილდოსანია ირაკლი ალასანიაც...

– დიახ, მას წლის დასაწყისში მოვუწოდე, რომ დაბრუნებულიყო პოლიტიკაში, მაგრამ, როგორც ჩანს, სადაც არის, იქ კარგად გრძნობს თავს.

– ლევან ვასაძეზე რას იტყვით?

– სხვათა შორის, ლევან ვასაძეს საკმაოდ კარგი იდეები აქვს, მაგრამ მხოლოდ იდეების დონეზე ეს არ არის საკმარისი. იდეები და განცხადებები ჩვენში ისედაც ბევრია, მაგრამ ეს ხალხს რას აძლევს? არაფერს. ახლა საუკეთესო პერიოდია, მან შექმნას პარტია, რომ მომავალი წლის არჩევნებზე მიაღწიოს წარმატებას. სწორედ ლევან ვასაძეს შეუძლია გახდეს მესამე ძალა, რომელსაც ნამდვილად მიენდობა ხალხი და წაყვება მას. მან აუცილებლად გვერდით უნდა დაიყენოს ზურაბ ხონელიძე, საოცრად განათლებული ადამიანი, რომელმაც ჭაობიდან ამოიყვანა სოხუმის უნივერსიტეტი.

– ირაკლი კობახიძე როგორი პოლიტიკოსია?

– ირაკლი კობახიძე ტივტივებს, ხალხს ცოტა ვერ გაუგია მისი პოზიცია და ეს ჩემთვისაც გასაგებია. რამდენჯერმე ნაციონალური მოძრაობის მხარდასაჭერი განცხადებაც კი გააკეთა. თითქოს ნეიტრალურია, მაგრამ...

პრემიერ-მინისტრებთან ამჟამინდელთანაც, წინასთანაც და იმის წინასთანაც მაქვს კითხვა – როგორ უნდა იარსებოს 200 ლარით პენსიონერმა? ძალიან მაინტერესებს, თვითონ როგორ გადაანაწილებენ ამ თანხას საკვებზე, კომუნალურებზე, წამლებზე და, საერთოდ, როგორ შეიძლება ამ თანხით ადამიანის არსებობა? ყველაზე ზუსტად მეტყველებს ციფრები – დავთვალოთ რამდენია ხელფასი, რამდენია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტების ღირებულება და ამით მივხვდებით, ქვეყანაში მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა თუ გაუარესდა.

ერთადერთი, ვინც ცოტა ცდილობს რაღაც გააკეთოს, ეს კახა კალაძეა. რაღაცა მცდელობებს ვხედავ, ის რეალურად ცდილობს მოაწესრიგოს ქალაქში არსებული პრობლემები, თუნდაც პარკინგის პრობლემა. პრობლემა ნამდვილად ბევრია და რთულია მათი უცბად მოგვარება, თუმცა მთავარია, რომ ეს ადამიანი ცდილობს, რაღაც გააკეთოს. ასე რომ, ერთად დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

რა ანაზღაურება ექნება მომღერალ ზურაბ ხაჩიძეს, რომელიც სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის მოადგილედ დაინიშნა

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა თუ რა ანაზღაურება ექნება ზურაბ ხაჩიძეს აღნიშნულ პოსტზე. აღსანიშნავია, რომ რწმუნებულებისა და მათი ადმინისტრაციის თანამშრომელთა სარგო ოდენობა კანონით რეგულირდება, კერძოდ, „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხისა და ადმინისტრაციაში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ მთავრობის დადგენილებით.

აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის შრომის ანაზღაურების ფონდის შესახებ მთავრობამ დადგენილება მიმდინარე წლის 28 მაისს მიიღო. რომლის თანახმადაც, სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობრივი სარგო თვეში – 5.900 ლარი, წლის განმავლობაში – 70.800 ლარითაა განსაზღვრული.

ამავე დადგენილებით, სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილის სარგო თვეში – 3 000; ხოლო წელიწადში – 36.000 ლარია განსაზღვრული. რაც შეეხება მოადგილეებს, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილის თანამდებობრივი სარგო თვეში – 2.900, წელიწადში კი – 34.800 ლარით არის განსაზღვრული.

ცნობისთვის, „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საღამოს ნიუსრუმი“ ხაჩიძემ საკუთარ ანაზღაურებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, რწმუნებულის მოადგილის ანაზღაურება 1.500 ლარია.

ტაქსის მძღოლები თიბისი ბანკში სესხებს გამარტივებული წესით აიღებენ

თიბისი ბანკი ტაქსის მძღოლების ხელშეწყობის პროგრამას უერთდება და მათზე მორგებულ, გამარტივებულ სესხებს სთავაზობს. ამის შესახებ ინფორმაციას თიბისი ბანკი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ტაქსის მძღოლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, თბილისში მომუშავე ტაქსის მძღოლები ავტომობილების შეძენას ან განახლებას თიბისი ბანკის მიერ შეთავაზებული სპეციალური პირობებით შეძლებენ. კერძოდ, ისინი, ვისაც თბილისის ტაქსის ი კატეგორიის ლიცენზიის მიღება სურს, თუმცა ავტომობილის მდგომარეობა, ფერი და სხვა პარამეტრები არ შეესაბამება ლიცენზიის მოთხოვნებს, თიბისი ბანკში სესხის მიღებას გამარტივებული პირობებით შეძლებენ.

ავტომობილების შეძენა/განახლებისთვის სესხის მიღება შემოსავლის დადასტურების გარეშეა შესაძლებელი. ავტომობილების შეძენის შემთხვევაში, სესხის თანხა 12.000 ლარამდე განისაზღვრება, 6 წლამდე ვადით. გარდა ამისა, ტაქსის მძღოლები უახლოეს მომავალში ავტო დილერებისგან სპეციალური შეთავაზებით ისარგებლებენ.

რაც შეეხება ავტომობილის განახლებას, სესხის ოდენობა 8 000 ლარამდე განისაზღვრება, 4 წლამდე ვადით. უზრუნველყოფა და თანამონაწილეობა ამ შემთხვევაში, არ მოითხოვება.

ხელშეწყობის პროგრამით სარგებლობა თბილისში მომუშავე ტაქსის მძღოლებს შეუძლიათ. ამისათვის მათ თიბისი ბანკის ნებისმიერ ფილიალს უნდა მიმართონ, – ნათქვამია თიბისი ბანკის განცხადებაში.

ბპნ.გე

რუსი ჰოკეისტის ცოლი შვილმა მოკლა

დაბა ნოვაია რომანოვკაში (პეტერბურგის მახლობლად) რუსი ჰოკეისტის, რუსეთის ნაკრების ყოფილი მეკარის მაქსიმ სოკოლოვის ცოლის გვამი იპოვეს. მას ყელი ჰქონდა გამოჭრილი. იქვე მძიმედ დაჭრილი 17-18 წლის მოზარდი ეგდო. ის საავადმყოფოში წაიყვანეს.

მოზარდი მაქსიმ სოკოლოვის უფროსი ვაჟია. მისმა უმცროსმა ძმამ გამოძიებას განუცხადა:

– ჩემი უფროსი ძმა დედას წაეჩხუბა, მას დანით ეძგერა და სასიკვდილოდ დაჭრა, ამის შემდეგ კი უკვე თავის მოკვლა ცადა!

სოკოლოვის უფროსი ვაჟი და დედის მკვლელი ამჟამად საავადმყოფოშია. მისი მდგომარეობა მძიმეა.

მამაკაცს ღორის ქუჩაში გასეირნება აუკრძალეს

ავსტრალიის ქალაქ ვანგარატაში ხელისუფლებამ მამაკაცს ქალაქის ქუჩებში გასეირნება აუკრძალა.

მეთიუ ევანსმა წერილი მიიღო ქალაქის საბჭოდან, რომელშიც ატყობინებდნენ, რომ თუ ის კვლავაც გააგრძელებდა ქალაქის ქუჩებში თავისი შინაური ცხოველის, სახელად გრანტის გასეირნებას, ის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის 806 ავსტრალიური დოლარით დაჯარიმდებოდა.



ქალაქის საბჭოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი ასეთ გადაწყვეტილებამდე ქალაქის მცხოვრებთა საჩივრების საფუძველზე მივიდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ცხოველი ბავშვებს საჭმელს ართმევდა. მან ასევე დაამატა, რომ პოლიციელთა მცდელობა ღორი დაიჭირონ უამრავი პრობლემის პროვოცირებას ახდენს. ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ მათ ესმით ევანსის, რომელიც საკუთარ შინაურ ცხოველზე ზრუნავს, მაგრამ მათთვის მთავარ პრიორიტეტს ადამიანების უსაფრთხოება წარმოადგენს.

თავის მხრივ, მეთიუმ განაცხადა, რომ აქამდე ის ზედიზედ ორი წელი უპრობლემოდ ასეირნებდა გრანტს, ასევე ქალაქის საბჭოს მიწვევით შოუში მონაწილეობდა. მას იმედი აქვს, რომ ქალაქის საბჭო გადაწყვეტილებას შეცვლის, ვინაიდან მისმა პოსტმა ფეისბუქში უამრავი მხარდამჭერი გამოხმაურება მიიღო.

სათვალიანი გველი სახლში შეძვრა და უნიტაზში დაიმალა

ინდოეთის კარნატაკას შტატის ქალაქ ბანგალორში სათვალიანი გველი საცხოვრებელ ბინაში შეძვრა და უნიტაზში დაიმალა.

1,5 მეტრი სიგრძის ქვეწარმავალი ერთ-ერთმა მობინადრემ შენიშნა. სავარაუდოდ, ძლიერი წვიმების შემდეგ ის თავშესაფარს ეძებდა და ასეთ ადგილად სწორედ ბინა შეარჩია.

მცხოვრებლებმა კანალიზაციების მომსახურე სახელმწიფო ორგანიზაციას დაურეკეს. მათ ადგილზე გველებზე მონადირე სპეციალისტი მიავლინეს.

პროფესიონალმა მონადირემ სათვალიანი გველი სპეციალური ჯოხის დახმარებით დაიჭირა და უნიტაზიდან ამოიყვანა. მოგვიანებით მან ქვეწარმავალი მოშორებით, ტყეში წაიყვანა და გაუშვა.

მექსიკას სამხრეთიდან ლტოლვილების ნაკადი მიაწყდა

ლტოლვილებმა ცენტრალური ამერიკიდან, რომლებსაც აშშ-ში მოხვედრა სურთ, მექსიკის სამხრეთ საზღვარზე, ფაქტობრივად, იერიში მიიტანეს.

ლტოლვილების გააქტიურება იმ გარემოებას უკავშირდება, რომ რამდენიმე დღეში, ვაშინგტონთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, მექსიკა საზღვარს ჩაკეტავს.

ლტოლვილები ცდილობენ, საზღვარი გადალახონ ნებისმიერი საშუალებით, როგორც ტყეების გავლით, ასევე ტივებით მდინარეზე. ამ სახიფათო ხელოვნური თუ ბუნებრივი ბარიერების გადალახვას არ ერიდებიან არც ისეთი ოჯახები, რომელთა წევრებიც მცირეწლოვანი ბავშვები და ფეხმძიმე ქალები არიან.

მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრ მარსელო ებრარდის განცხადების თანახმად, ეროვნული გვარდიის 6 ათასი სამხედრო მოსამსახურის საზღვარზე განლაგების პროცესი 13 ივნისს უნდა დაწყებულიყო, თუმცა „როიტერმა“ სამხედროების მოძრაობა ქვეყნის სამხრეთში ვერ დააფიქსირა.

მექსიკის ხელისუფლება პარალელურად მოლაპარაკებებს აწარმოებს გეგმის შესრულების მიზნით როგორც აშშ-სთან, ასევე მის სამხრეთით მდებარე ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან.

ბალტიის ზღვაზე ნატოს სწავლებები დაიწყო

ბალტიის ზღვაზე ნატოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის სწავლებები დაიწყო.

მასში 47 ქვეყნის სამხედრო ხომალდი მონაწილეობს.

სწავლებას ახლად აღდგენილი აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტი ხელმძღვანელობს.

სარა სანდერსმა, შესაძლოა, არკანზასის გუბერნატორის პოსტზე იყაროს კენჭი

აშშ-ის პრეზიდენტის პრესმდივანი სარა სანდერსი თვის ბოლოს თანამდებობიდან გადადგება.

სანდერსის გადადგომის სავარაუდო მიზეზად მისი პოლიტიკაში ჩართვა სახელდება. პირველ ეტაპზე ის ზაფხულის არდადეგებზე შვილებთან ერთად დასვენებას აპირებს, შემდეგ კი, შესაძლოა, არკანზასის გუბერნატორის პოსტზე იყაროს კენჭი.

ტრამპი მას ყოველმხრივ მხარდაჭერას ჰპირდება. თავის დროზე არკანზასის გუბერნატორის პოსტი ეკავა სარა ჰაკაბი-სანდერსის მამას, მაიკ ჰაკაბის.

ბრიტანეთის შსს-მ ასანჟის აშშ-სათვის გადაცემაზე თანხმობა განაცხადა

დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვიკილიქსის დამაარსებლის ჯულიან ასანჟის აშშ-სათვის გადაცემაზე თანხმობა განაცხადა.

ასანჟს 17 პუნქტისაგან შემდგარი ბრალდება წაუყენეს. აქედან უმთავრესი ავღანეთსა და ერაყში მიმდინარე ომთან დაკავშირებით საიდუმლო მასალების გამოქვეყნებაა.

თავად ასანჟი ამ ბრალდებას უარყოფს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეორი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ამერიკამ და საფრანგეთმა ნბა შეკრიბეს

31 აგვისტოს ჩინეთში კალათბურთში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება. ეს ფორუმი მართლაც ძალიან საინტერესო იქნება და გულშემატკივარი ნამდვილად არ მოიწყენს. რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ თითქმის უძლიერესი შემადგენლობით იქნება ამერიკის ნაკრები.

აშშ-ის ნაკრები ე ჯგუფში, ჩეხეთთან, თურქეთთან და იაპონიასთან ერთად მოხვდა. „დრიმ თიმი“ პირველ მატჩს 1 სექტემბერს ჩეხეთის წინააღმდეგ გამართავს.

მსოფლიოს ჩემპიონატამდე აშშ-ის ნაკრები ლას ვეგასში ივარჯიშებს. სადღეისოდ გუნდში 20 კალათბურთელია გამოძახებული. საბოლოოდ კი, ჩინეთში 12 მათგანი წავა. სიაში ყველა მოთამაშე ნბა-დან არის. რაც ყველაზე საინტერესოა, გამოძახებულია 2018 წლის მვპ ჯეიმს ჰარდენი, რომელიც ამ ფორმაციის ნაკრების ლიდერად განიხილება. ასევე გუნდშია ოლ სტარის ექვსგზის მონაწილე ენტონი დევისიც.

აშშ-ის ნაკრების წინასწარი შემადგენლობა ასეთია:

ჰარისონ ბარნსი (საკრამენტო), ბრედლი ბილი (ვაშინგტონი), ენტონი დევისი (ნიუ ორლეანი), ანდრე დრამონდი (დეტროიტი), ერიკ გორდონი (ჰიუსტონი), ჯეიმს ჰარდენი (ჰიუსტონი), ტობიას ჰარისი (ფილადელფია), დამიან ლილარდი (პორტლენდი), კევინ ლავი (კლივლენდი), კაილ ლოური (ტორონტო), სიჯეი მაკკალუმი (პორტლენდი), კრის მიდლტონი (მილოუკი), მაილს ტერნერი (ინდიანა), კემბა უოკერი (შარლოტი), კაილ კუზმა (ლეიკერსი), ბრუკ ლოპესი (მილოუკი), პოლ მილსეპი (დენვერი), დონოვან მიტჩელი (იუტა), ჯეისონ ტეიტუმი (ბოსტონი), პიჯეი ტაკერი (ჰიუსტონი).

გამოძახებულ შემადგენლობაში 5 ისეთი კალათბურთელია, რომლებსაც ოლიმპიური ოქრო აქვთ მოგებული – ბარნსი (2016), დევისი (2012), ჰარდენი (2012), ლავი (2012), და ლოური (2016). ამდენივე კალათბურთელმა მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება მოახერხა – 2010 წელს ეს გორდონმა და ლავმა, ხოლო 2014-ში კი – დევისმა, დრამონდმა და ჰარდენმა.

ამერიკის ნაკრებს გრეგ პოპოვიჩი უთავკაცებს და ამით ყველაფერია ნათქვამი;

– ჩვენ გვყავს გუნდი, რომელიც ნბა-ს გამოცდილი და ბრწყინვალე ახალგაზრდა მოთამაშეების იდეალური ნაზავია.

სან ანტონიოს ლეგენდარულ დამრიგებელს მსოფლიოს ჩემპიონატზე, სხვებთან ერთად, გოლდენ სტეიტის თავკაცი სტივ კერიც დაეხმარება.

შემადგენლობა დაასახელა საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა ვენსან კოლემაც, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ შეკრებაზე 15 კალათბურთელი გამოიძახა. ცხადია, ჩინეთში წასასვლელად ისიც 12 მათგანს შეარჩევს.

გუნდში არიან ლიდერები რუდი გობერი, ნიკოლა ბატუმი და ნანდო დე კოლო. 5 კალათბურთელი ნბა-დან არის – გობერი, ბატუმი, ფურნე, ლუვავუ-კაბარუ და ნილიკინა.

საფრანგეთის ნაკრები:

ტომას ერტელი, ენდრიუ ალბისი, ფრანკ ნილიკინა, ნანდო დე კოლო, ევან ფურნიე, პოლ ლაკომბი, ნიკოლა ბატუმი, აკსელ ტუპანი, ტიმოტე ლუვალუ-კაბარუ, ლუი ლიბერი, ამატ მბაიე, ადრიენ მორმანი, რუდი გობერი, მატიას ლესორი, ვენსან პურიე.

საფრანგეთის ნაკრები ჯ ჯგუფშია დომინიკის რესპუბლიკასთან, გერმანიასთან და იორდანიასთან ერთად.

საქართველო ნახევარფინალშია

საქართველო-ბულგარეთი 35:19

თბილისი. სპორტის სასახლე

საქართველო: თევზაძე, ცინცაძე; ცხოვრებაძე (7), ორჯონიკიძე (4), არსენაშვილი (4), მიქავა (4), ჩიქოვანი (3), გოგოლაძე (3), კალანდაძე (3), კბილაშვილი (2), დიხამინჯია (2), რუსტამოვი (1), მერკვილაძე (1), იმნაძე (1)

ბულგარეთი: კოსტოვი, სტ.დიმიტროვი; ვასილევი (4), ბალჩევი (4), იორგოვი (3), კალჩევი (2), სვ.დიმიტროვი (2), დასკალოვი (1), ატანასოვი (1), გროზევი (1), სავოვი (1), იუსნი, პეტკოვი, ნაიდენოვი

საქართველოს ნაკრებმა ერთა ჩემპიონატზე მე-5 მატჩიც მოიგო და ნახევარფინალში პირველი ადგილით გავიდა. თბილისის სპორტის სასახლეში 35:19 დავამარცხეთ ბულგარეთი და ვეთამაშებით დიდ ბრიტანეთს. მეორე წყვილი კი კუბა-ბულგარეთია.

ბრძოლა მხოლოდ საწყის მეოთხედში იყო. თემო ორჯონიკიძემ პირველად მე-8 წუთზე დაგვაწინაურა (5:4) და ამის შემდეგ სხვაობა იზრდებოდა – 9:6, 15:10, 19:11 შესვენებაზე და მაქსიმუმი იყო დასრულებამდე ათიოდ წუთით ადრე – 31-14.

პირველ ტაიმში ჩვენები აქცენტირებულად ათამაშებდნენ ბურთს ხაზზე. როგორც მწვრთნელმა, ბექა ორჯონიკიძემ გვითხრა, ველოდით, რომ მეტოქე აქტიურად გამოვიდოდა ჩვენს ბურთიან უკანახაზელზე და ჩვენი პივოტი ხშირად თავისუფალი დარჩებოდაო. მართალია, თავიდან რამდენიმე პასი ერეკლე არსენიშვილის მიმართულებით დაიკარგა, მაგრამ ჯერ მან და შემდეგ გიორგი მიქავამ ჯამში 8 გოლი გაიტანეს.

პირველ ტაიმში მოპოვებულ უპირატესობაში დიდი წვლილი შეიტანეს მეკარემ და კარგმა დაცვამ, შეტევაში კი – ჩიქოვანმა, ცხოვრებაძემ და გოგოლაძემ. საუკეთესო კი აშკარად იყო თეიმურაზ ორჯონიკიძე. ეს ცხადი გახდა პირველივე ტაიმის ბოლოში, საბოლოოდ კი თემოს ძალიან სოლიდური სტატისტიკა დაუგროვდა – 4 დარტყმიდან 4 გოლი, 3

საგოლე პასი, 3 მოპოვებული შვიდმეტრიანი და ორწუთიანი, 2 ჩაჭრილი ბურთი და 1 ბლოკშოტი დაცვაში.

ნიკოლა მაქსიმოვიჩმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე ბრძოლაში ყველა მოთამაშე ჩააბა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გამარჯვებულის ვინაობა უკვე ცნობილი იყო, გოლი კი თორმეტივე მოთამაშემ გაიტანა. ყველაზე მეტი, 7, ტრადიციულად, გიორგი ცხოვრებაძემ, რომელსაც 7-მეტრიანების შესრულებაც ევალა.

ბ ჯგუფში ირლანდიამ 41:23 მოუგო მალტას, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 38:24 დაამარცხა ნიგერია. ა ჯგუფში ბრიტანეთმა აჯობა კოლუმბიას, 27:23 და ნახევარფინალის მეორე საგზური მოიპოვა. ჩინეთმა 35:26 მოუგო აზერბაიჯანს და მეხუთე ადგილისთვის იბრძოლებს. კუბამ დაამარცხა ინდოეთი, 40-29.

აღსანიშნავია, რომ 4 ნახევარფინალისტიდან 3 ევროპული გუნდია, მათ კი, ჩემპიონატზე გამარჯვების გარდა, კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა აქვთ – საუკეთესო ევროპული გუნდი მიიღებს ევროპის 2022 წლის ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურს.

პეპ გვარდიოლა: „ფეხბურთი იმიტომ არის საინტერესო, რომ სიახლე უნდა ეძებო“



პრემიერლიგის სეზონი დასრულდა და მანჩესტერ სიტიმ მოიგო. თუმცა, მარტო ეს არ ყოფილა ქალაქელთა წარმატება – პეპ გვარდიოლას შეგირდებმა ლიგის თასი და ასოციაციის თასიც მოიგეს. ერთადერთი, რასაც სიტი ვერ შესწვდა, ჩემპიონთა ლიგა იყო.

ამ წარმატებების უკან ერთი კაცი დგას – პეპ გვარდიოლა, რომელთან ინტერვიუც ყოველთვის სასიამოვნო გამოდის.

პეპ გვარდიოლა:

– მთელ სეზონს ზუსტად ერთნაირი მნიშვნელობით მოვეკიდეთ. ჩვენთვის დიდი პრივილეგიაა, რომ სეზონის ბოლოს ტიტულით ხელდამშვენებული დავრჩით. გამარჯვებებთან ერთად, წარმოუდგენელ გამოცდილებას ვიღებთ.

შარშან გვარდიოლას გუნდმა პრემიერლიგა დაიპყრო. რეკორდი რეკორდზე დაამყარა და ჩემპიონობა ტურნირის დასრულებამდე 5 ტურით ადრე მოასწრო. წელს კი ლივერპულმა საოცარი ტემპი აკრიფა და სიტის დიდი ჯაფა დაადგა მათთვის კონკურენციის გასაწევად. სიტი გახდა პირველი გუნდი ბოლო 10 წლის განმავლობაში, რომელმაც პრემიერლიგის ტიტული შეინარჩუნა.

გუნდის ლიდერ კევინ დე ბრუინის წლევანდელი სეზონის დიდი ნაწილი ტრავმის გამო გაუცდა. ამის ფონზე, სიტის სტაბილურობა კიდევ უფრო გასაოცარია. დე ბრუინის არყოფნაში პეპმა ფსონი ბერნარდო სილვაზე გააკეთა და მანაც იმედები სრულად გაამართლა.

– როცა კევინი არ გყავს, სხვა ფეხბურთელი უნდა გამოიყენო და ეცადო მისი პოტენციალისა და თვისებების მაქსიმალურად აქტუალიზებას. რა თქმა უნდა, მერჩივნა, კევინი მთელი ეს პერიოდი მყოლოდა, მაგრამ იგი ბოლოს დაგვიბრუნდა და, დარწმუნებული ვარ, სეზონის დარჩენილ მონაკვეთში ძალიან დაგვეხმარა.

სეზონი, ფაქტობრივად, გაუცდა ბენჟამინ მენდისაც. სიტის მეტი ტიპური მარცხენა მცველი გუნდში არც ჰყავს, თუმცა მის არყოფნაში გვარდიოლამ ჩვეული მოქნილობა გამოავლინა.

– ფეხბურთი ცხოვრებას ძალიან ჰგავს. როგორც ცხოვრებაში, ფეხბურთშიც რაღაცები ყოველთვის იცვლება. როცა პრობლემები გაქვს, მათი გადაჭრის გზები უნდა ეძიო. თუ სწორ გადაწყვეტილებებს მიაგნებ, გუნდი ზრდას განაგრძობს. ხანდახან ზოგი ფეხბურთელი უკეთეს ფორმაშია, ზოგსაც მეტი თავდაჯერება აქვს. ეს ყველაფერი უნდა შეახამო. როცა მწვრთნელი ხარ, ყოველი დღე ახალი გამოცდილებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვრთნელობა მხიარული საქმიანობა არ იქნებოდა.

დე ბრუინის არყოფნაში სცენაზე რაჰიმ სტერლინგი გამოვიდა. ბავშვი დაღვინდა და სეზონის საუკეთესო ფეხბურთელობის ერთერთი მთავარი პრეტენდენტი იყო. თუმცა, სიტის ნამდვილი ძალა არა ინდივიდში, არამედ კოლექტივშია. გვარდიოლას გუნდი კარგად გაპოხილი მანქანაა, რომელსაც ნებისმიერი ოპონენტის გადავლა შეუძლია.

ეს ყველაფერი დაუღალავი ვარჯიშის შედეგია. გვარდიოლა საწვრთნელ ბაზაზე ძალიან დიდ დროს ატარებს და აქცენტს ბურთის ფლობასა და სივრცის მაქსიმალურად ათვისებაზე აკეთებს.

– ყველაზე მეტად ბიჭებთან ერთად მოედანზე ყოფნა და თამაშის დაგეგმვა მიყვარს. რა თქმა უნდა, მოგებაც მიყვარს, მაგრამ პირველ რიგში, უნდა ეძიო გზები, თუ როგორ მოიგო. ამიტომ არის ფეხბურთი მშვენიერი. ყოველთვის ვცდილობ, თითოეულ ფეხბურთელს მოვარგო ის, რასაც ვაკეთებ. ცალკე აღებული ერთი ფეხბურთელი კი, არაფერია. ფეხბურთელს მაშინ აქვს ფასი, როცა ის ურთიერთქმედებს გუნდის სათამაშო იდეასთან და საკუთარ თანაგუნდელებთან. მას უნდა შეეძლოს მეტოქის გადაწყვეტილებებზე რეაგირება და აგრეთვე იმაზე, რაც ზოგადად მოედანზე ხდება. როგორც ყველა სპორტი, ფეხბურთიც გადაწყვეტილებების მიღების ერთი დიდი სერიაა. ვისაც თამაშის წაკითხვა, დაცვისა და შეტევის ერთმანეთთან დაკავშირება, თანაგუნდელების შეკვრა და მათი უკეთესად ათამაშება შეუძლიათ... სწორედ ისინი არიან საუკეთესო ფეხბურთელები.

ვინც გვარდიოლას ფილოსოფიაში არ ეწერება, ყოველთვის რისკავს, მისი სიმპათიები დაკარგოს. ასე მოხდა ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და სამუელ ეტო'ოს შემთხვევაში. სერხიო აგუეროსაც კი მოუწია დათმობებზე წასვლა. მან გვარდიოლას გული მას შემდეგ მოიგო, რაც უბურთოდ მოძრაობასა და გადაადგილებას უმატა.

– არიან ფეხბურთელები, რომლებთანაც არასოდეს მქონია კარგი ურთიერთობა. ერთმანეთის არ გვესმოდა და განსხვავებული მიზეზების გამო, მათ არ ვათამაშებდი. მაგრამ ასევე არიან ფეხბურთელები, რომლებთან ერთად მუშაობა ძალიან მიყვარდა. ბარსელონასა და გერმანიაში კარგი მეგობრები დავტოვე და მანჩესტერშიც იგივე იქნება.

ლივერპულს პრემიერლიგის ისტორიაში თავისი საუკეთესო სეზონი აქვს. 32 თამაშიდან მხოლოდ ერთი წააგეს. კლოპის გუნდი ამ სეზონში არ ყოფილა სიტის ერთადერთი გამოცდა. სიტიმ ქულები ჩელსის, ვულვზის, ლესტერისა და კრისტალ პალასის წინააღმდეგაც დაკარგა.

სიამოვნებს თუ არა გვარდიოლას გაზრდილი კონკურენცია?

– რა თქმა უნდა. ვფიქრობ, რომ წელს უკეთესი გუნდი ვართ და ეს სწორედ გაზრდილი კონკურენციის დამსახურებაა. ლივერპული ერთერთი უძლიერესი გუნდია, ვისაც შევხვედრივარ. მათ ყველაფერი აქვთ – კარგი ტაქტიკა, ძლიერი დაცვა, მაღალი პრესინგი, ძალიან კარგი კონტრშეტევები. პოზიციურ თამაშში ადრე პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ ახლა ამ კომპონენტშიც დიდი პროგრესი ეტყობათ.

გვარდიოლა მიიჩნევს, რომ ლივერპულის შედეგებზე კონცენტრირება „დიდი შეცდომა“ იქნებოდა. მთავარი იყო სიტის საკუთარი თავისთვის მიეხედა. პეპი უკვე ამაყობს თავისი შეგირდებით და აქებს მათ სურვილს, ყოველდღე ახალ ცოდნას დაეუფლონ.

– პრემიერლიგის ისტორიაში ნამდვილად ვერ იქნებოდა ბევრი გუნდი, რომელიც აპრილში 4 ტიტულისთვის იბრძოდა. უბრალოდ, უნდა ვეცადოთ, რომ ყოველი მომდევნო თამაში მოგვეგო.

მაისში გვარდიოლამ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი და სიტის ევოლუციის ავანგარდში დამატებით 2 წელი იქნება. შემადგენლობა ახალგაზრდულია, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფეხბურთელი უკვე კრიტიკულ ასაკშია – დავიდ სილვა 33 წლისაა, ფერნანდინიო კი მალე 34-ის გახდება.

– მიზანი მუდმივი პროგრესია. აღმოვაჩინოთ ისეთი რაღაცები, რომელთა უკეთ გაკეთება შეგვიძლია და შევცვალოთ ის ფეხბურთელები, რომლებმაც, ჩვენი ღრმა რწმენით, გუნდში გარკვეული ციკლი უკვე დაასრულეს.

სულ ეს არის. სწორედ ამას ვუმიზნებთ, – ამბობს გვარდიოლა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ტაქსის მძღოლმა გულის შეტევა გაითამაშა და უმუშევარი დარჩა

ავსტრალიაში ქალმა ვიდეოზე გადაიღო ტაქსის მძღოლი, რომელმაც თითქოსდა დაბალი ტარიფის გამო გულის შეტევა გაითამაშა. ვიდეო ჩანაწერის კადრები მან ერთ-ერთ ადგილობრივ ტელეარხს მიაწოდა.

მგზავრი ქალბატონი, რომლის ვინაობა არ სახელდება, ამტკიცებს, რომ ტაქსის მძღოლს არ სურდა მისი სიდნეის აეროპორტიდან გარეუბან ანანდეილში წაყვანა. მისი თქმით, მამაკაცი, რომელიც გამოძახებით მივიდა, უარს ამბობდა 10-კილომეტრიანი გზის გავლაზე დაბალი ანაზღაურების გამო.

ვიდეორგოლზე ჩანს, თუ როგორ მიეყუდა მამაკაცი ხის ტოტს, ხოლო მარჯვენა ხელი გულთან უდევს.

– მე თქვენ ვერ წაგიყვანთ, ქალბატონო, თავს ცუდად ვგრძნობ, – ირწმუნებოდა მამაკაცი, მაგრამ ქალმა არ დაუჯერა და მისი ნათქვამი შეახსენა, რომ მგზავრობაში მეტი თანხის მისაღებად მრიცხველის გამორთვა სურდა. ამის შემდეგ მამაკაცი მუხლებზე ეშვება, ქალი კი ირონიულად ეუბნება:

– ასეთი თამაში „ოსკარს“ იმსახურებს.

მალევე ტაქსის მძღოლი სამსახურიდან დაითხოვეს. კომპანიის წესების თანახმად, სამუშაო დროს მძღოლს შეკვეთის შესრულებაზე უარის თქმის უფლება არ ჰქონდა.

აგრესიულმა ძროხებმა ქალს ნეკნები ჩაუმტვრიეს

დიდ ბრიტანეთში ქალი ძროხების თავდასხმისგან იმ დროს დაზარალდა, როდესაც მათგან თავის შვილიშვილს იცავდა.

49 წლის ქალაქ აბერგელის მცხოვრები ლიზა უელსი სოფელ კეიპელ კერიგში (სნოუდონიის რეგიონი) შვილიშვილ ბეტან რიჩისთან ერთად სეირნობდა. თვითმხილველის თქმით, მათ გზაზე ბუღა და 20-მდე ძროხა აღმოჩნდა, რომლებიც „შეშლილებივით“ გამოიყურებოდნენ. ბებია და შვილიშვილი შეეცადნენ, აგრესიულ ცხოველებს გასცლოდნენ და გაიქცნენ, თუმცა ჯოგი მათ გამოეკიდა.

რიჩიმ დამალვა მაინც მოახერხა. ძროხები რამდენიმეჯერ დაეტაკნენ უელსს, ვიდრე ადგილობრივები მის დახმარებას შეძლებდნენ. მათ სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. უგონო მდგომარეობაში მყოფი ქალი ქალაქ სტოკ-ონ-ტრენტის საავადმყოფოში შვეულმფრენით გადაიყვანეს. თავდასხმის შედეგად ბრიტანელმა ქალბატონმა ნეკნების სერიოზული მოტეხილობა მიიღო.

დაშავებული ქალბატონის ქალიშვილის თქმით, დედამისს მომხდარის დეტალები არ ახსოვს, ხოლო მისმა შვილმა მომხდარისგან ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო.

– ბეტანმა მიამბო, რომ ბებია მის გადარჩენას ცდილობდა და მას და გამოდევნებულ ძროხებს შორის მირბოდა. მან ყველაფერი გააკეთა შვილიშვილის გადასარჩენად, – განაცხადა დაშავებულის ქალიშვილმა ჯემა რიჩიმ.

ნიანგმა გასვენებაზე მისული ყმაწვილი შეჭამა

ინდოეთის მადხიაპრადეშის შტატში ნიანგმა 18 წლის ყმაწვილი შეჭამა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

კვირა დილით პენჯაბის შტატის მკვიდრმა ნარენდრა ტომარმა, რომელიც პაპის გასვენებაში იყო ჩასული, მდინარე ჩამბალში ბანაობა გადაწყვიტა. ნაცნობების თქმით, მან იცოდა, რომ მდინარე ნიანგებით იყო სავსე. რეპტილია ყმაწვილს იმ დროს დაესხა თავს, როდესაც ის წყალში მუხლებამდე იყო შესული.

ადგილობრივები ტომარას გადარჩენას შეეცადნენ. ისინი ყმაწვილის ხმელეთზე ამოთრევას ცდილობდნენ, თუმცა უშედეგოდ. მტაცებელმა ის წყალქვეშ ჩაითრია. თვითმხილველებმა პოლიცია და მაშველების რაზმი გამოიძახეს, მაგრამ ნიანგების თავდასხმის შიშით მდინარეში შესვლა ვერავინ გაბედა. ყმაწვილის ძებნის სამუშაოები ამ დრომდე გრძელდება.

ბრიტანელმა ქვეყნის ისტორიაში სიდიდით მესამე პრიზი მოიგო

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა. მისმა მოგებამ 123 მილიონი ფუნტი სტერლინგი შეადგინა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქვეყნის ისტორიაში ეს სიდიდით მესამე მოგებაა.

ლატარიის ევრომილიონის წარმომადგენელმა ენდი კარტერმა განაცხადა, რომ მოგებულია მხოლოდ ერთი ბილეთი და გათამაშების ყველა მონაწილეს მოუწოდა, ყურადღებით შეამოწმონ თავიანთი ბილეთების ციფრები.

გამარჯვებულმა შვიდივე ბედნიერი რიცხვი გამოიცნო – ხუთი ძირითადი და ორი – დამატებითი.

ევრომილიონის ლატარიის ბილეთი ორფუნტ-ნახევარი ღირს. გათამაშების მონაწილემ უნდა შეარჩიოს ხუთი ციფრი ერთიდან 50-მდე და ორი ციფრი – ერთიდან 12-მდე.

ლატარია ევრომილიონი ცხრა ქვეყანაში თამაშდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

15 ივნისისთვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა კოლექტიური მუშაობისათვის, ასევე აქტიური დასვენებისა და სუფთა ჰაერზე გასეირნებისათვის, ფიზიკური დატვირთვისათვის. ახლო ნათესავების პრობლემების მოგვარება, სავარაუდოდ, თქვენ დაგეკისრებათ. **ჯერო** – წადით საყიდლებზე. ვარსკვლავები გწყალობენ. ფულს შოულობთ. **ტყუპები** – დაბნეულობისა და საკუთარი რწმენის უქონლობის გამო მცირე გაუგებრობაში აღმოჩნდებით. მომავალი თამამად დაგეგმეთ. **კირჩხიბი** – დღეს საშუალება გეძლევათ, პირად ცხოვრებაში წარმოქმნილი პრობლემები წარმატებით მოაგვაროთ. ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **ლომი** – პარტნიორის მიმართ მეტი ყურადღება და გულისხმიერება გამოიჩინეთ. თქვენი მეგობრული ურთიერთობა გრძნობების სიღრმეს სულაც არ ნიშნავს. **ქალწული** – დაქვეითებული სასიცოცხლო პოტენციალი თქვენს შრომისუნარიანობაზეც აისახება. გამორიცხული არ არის მცირე გაუგებრობა. **სასწორი** – საყიდლებზე წასასვლელად, ძვირფასი ნივთების შესაძენად კეთილისმყოფელი დღეა. ენერგიულად ხართ და ეს თქვენი შრომის შედეგზეც აისახება. **ღრიანკალი** – ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად შესაფერისი პერიოდია, თუმცა საამისოდ საკმაო სულიერი და მატერიალური ძალისხმევა დაგჭირდებათ. **მშვილდოსანი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. გარისკვას წარმატება მოჰყვება. სამსახურში წინსვლა გელით. **თხის რქა** – დღის განრიგი წინასწარვე შეადგინეთ, რათა მოულოდნელად გაუგებრობამ არ იჩინოს თავი. დაქვეითებული სასიცოცხლო პოტენციალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში ხელს შეგიშლით. **ვერცყული** – სიყვარულში წარმატება გელით. ოჯახური ურთიერთობა ჰარმონიულია. ქალებს ახალი საინტერესო ნაცნობობა ცხოვრებას გაგიხალისებთ. **თევზები** – წარუმატებლობა მალევე დაივიწყეთ. რეკომენდებულია აქტიური დასვენება. პროფესიონალური პრობლემები დროებით გვერდზე გადადეთ და თავს მოდუნების საშუალება მიეცით.

16 ივნისისთვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გაგიმახვილდებათ ინტუიცია. საჭირო დროს საუკეთესო გადაწყვეტილებას მიიღებთ. ნუ იქნებით იმპულსური. **ჯერო** – პროფესიონალურ სფეროში სიძნელეები გექმნებათ. თქვენს საქმეს სხვას ნუ გააკეთებინებთ. კრიზისული სიტუაციიდან გამოსავალი არასტანდარტული გზით ეძიეთ. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა. ნებისყოფა მოიკრიბეთ, იყავით უკომპრომისო. რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **კირჩხიბი** – ენერგეტიკული პოტენციალის შესუსტებას გრძნობთ. თუ მეტისმეტად მგრძნობიარე ხართ, მაშინ შესაძლოა დეპრესიამ შემოგიტიოთ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ყოველგვარი საქმიანი შეხვედრა, მათ შორის რომანტიკულიც, სხვა დროისათვის გადადეთ. პრინციპულ საკითხებზე გარშემომყოფებთან მწვავე კამათია მოსალოდნელი. **ქალწული** – თუ წინდახედულობასა და შორსმჭვრეტელობას გამოიჩენთ, წარმატებას მიაღწევთ. გიმახვილდებათ ინტუიცია. საკუთარი პოზიცია დაიცავით. **სასწორი** – ახალი საქმის დაწყება წარმატებული იქნება, თუ მოქმედების ტაქტიკას გონივრულად შეარჩევთ. ეს განსაკუთრებით შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს ეხებათ. **ღრიანკალი** – კრიტიკული და მოულოდნელობებით აღსავსე დღეა. პრობლემები არასტანდარტული გზით უნდა გადაჭრათ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი საქმე თქვენგან საკმაოდ დიდ ენერგიას მოითხოვს. საკუთარი პოზიციის განმტკიცებას მხოლოდ გონების სისხარტითა და სწრაფი რეაქციით შეძლებთ. **თხის რქა** – ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. თამამად გარისკეთ. იღბალი ყველგან თან გდევთ. გელით სასიყვარულო თავგადასავალი ან ძალზე სასიხარულო შეხვედრა. **მერწყული** – საყიდლებზე წასვლა დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. დღის პირველ ნახევარში ოდნავ დაბნეული ხართ, რაც შესაძლოა მცირედი გაუგებრობის მიზეზი გახდეს. **თევზები** – არაკეთილისმყოფელი დღეა. ასაკოვანმა ადამიანებმა ცხოვრებისეული პრობლემები გულთან ახლოს არ მიიტანოთ. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას შესუსტებული აურა გამოიწვევს. მოსალოდნელია ინფექციური დაავადებების გამწვავება.

გისუჰვებთ ბედნიეჰ დღეს!

ბითაძე „მწვანე ოთახში“ მიიწვიეს

20 ივნისს ნბა-ს დრაფტი გაიმართება, რომელშიც ქართველი გოგა ბითაძეც მიიღებს მონაწილეობას. 19 წლის ცენტრთან დაკავშირებით მოვლენები ელვის უსწრაფესად ვითარდება.

ბითაძე ნბა-მ დრაფტის „მწვანე ოთახში“ მიიწვია. ეს ნიშნავს, რომ მიწვეულებს შეუძლიათ, ოჯახის წევრებთან და აგენტებთან ერთად უცქირონ დრაფტის მიმდინარეობას. როგორც წესი, „მწვანე ოთახში“ მიწვეულებს ეგრეთ წოდებულ ლატარიის ზონაში – პირველიდან მე-15 ნომრამდე ირჩევენ.

17 წლის მერე ეს პირველი შემთხვევაა, როცა ნბა-მ ქართველი კალათბურთელი „მწვანე ოთახში“ დაპატიჟა. 2002 წელს ასეთი პატივი ნიკოლოზ ცქიტიშვილს ერგო, შემდეგ ის დენვერ ნაგითსმა დრაფტის მე-5 ნომრად აირჩია.

„მწვანე ოთახში“ ასევე მიიწვიეს: ზაიონ უილიამსონი, ჯეი მორანტი, არ ჯეი ბარეტი, დარიუს გარლენდი, ჯარეტ კალვერი, დეანდრე ჰანტერი, კობი უაითი, კამერონ რედიში, ჯექსონ ჰეიესი, ნასირ ლიტლი, რომეო ლენგფორდი, ტაილერ ჰიერო, ბრენდონ კლარკი, რუი ჰაჩიმურა, პი ჯეი ვაშინგტონი.

ასევე ცნობილი გახდა, რომ გოგა სან ანტონიომ მიიწვია და გოგამ იქ უკვე ივარჯიშა, იგივე მოხდა ატლანტაშიც, სადაც გოგა ჰოუკსის მიწვევით იყო. ჩვენებური დრაფტამდე კიდევ 3 კლუბის რიგებში ივარჯიშებს – ბოსტონში, შარლოტსა და დეტროიტში.

სან ანტონიოს დრაფტის უფლება პირველ წრეში ორჯერ აქვს, მაგრამ მოგვიანებით – მე-19 და 29-ე ნომრები. აი, ატლანტას კი პირველ წრეში 3 არჩევანი აქვს – მე-6, მე-10 და მე-17.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ილუზიონისტთა ფარული ჯიბე; 2. რკინიგზის ხაზის სიგრძის საზომი ერთეული; 3. ისტორიული მოედანი პარიზში; 4. ნივრის მსგავსი გემოს მქონე ტყის ბალახი მწნილის დასამზადებლად; 5. სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრი სლოვენიაში; 7. ტრამვაის მძღოლი; 11. ინდოეთის ეროვნული გმირი; 12. სახალხო დღესასწაული ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 13. ქართული ნაციონალური კერძი; 14. უმაღლესი პილოტაჟის ერთ-ერთი ფიგურა; 15. აჭარული ცეკვა; 17. ოქროს მომპოვებელი ფირმა საქართველოში; 19. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

თარაზულად: 5. სატირული ხასიათის მიბაძვა; 6 ტროპიკებში გავრცელებული შხამიანი ობობა; 8. ინდური მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი; 9. კურორტი ხონის რაიონში; 10. ზაფხულის თვე; 11. ღვინის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 13. დიდი ფართობის ნოყიერი სახნავი მიწა; 14. ცნობილი ქართველი უფოლოგი; 16. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. შოკოლადის ხე; 20. მოხეტიალე მომღერალ-მუსიკოსი ძველად საბერძნეთში; 21. ზღვაში მოპოვებული მოწითალო ფერის ძვირფასი ქვა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კაზმი; 2. როვნო; 3. სუფრული; 4. კაფე; 5. ერგი; 6. კლიენტი; 9. დისიმულაცია; 10. პროვიზორი; 11. ბრუქსიზმი; 14. ზევსი; 16. დაისი; 18. კეპლერი; 20. ბენზინი; 23. რენო; 24. კრიჟი; 25. ზვარე; 26. რომი.

თარაზულად: 7. ლუფტჰანზა; 8. კვირინალე; 12. ბუერი; 13. ირანი; 15. რკინა; 17. ვანკუვერი; 19. ნუარე; 21. ოპერა; 22. ამანი; 27. პრევენცია; 28. კარმაზინი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჭონა; 2. ფრუმი; 3. ხრამი; 5. შულერი, 6. ნაკაშიძე; 9. მუჯურეთული; 10. საიათნოვა; 11. ინფანტინო; 14. ენა; 16. სალაჰი; 18. იგლუ.

თარაზულად: 1. ჭორფლი; 4. აფშერონი; 7. ლუგელა; 8. მაკბეტი; 12. იჯარა; 13. ნესტლე; 15. ბაკარა; 17. უთო; 19. კრიპტოგრამა; 20. გინზა; 21. ჯუღელი.

ცენტრალურ ბიბლიოთეკებს 450-ლარიანი ვაუჩერები გადაეცემათ

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით უკვე მეხუთედ განხორციელდება ბიბლიოთეკების ვაუჩერიზაციის პროექტი, რომლის საფუძველზეც საქართველოს 65 ცენტრალურ ბიბლიოთეკას წიგნების შესაძენად 450-ლარიანი ვაუჩერი გადაეცემათ.

ბიბლიოთეკების ვაუჩერიზაციის პროექტი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის დაფინანსებით ხორციელდება. პროექტის მხარდამჭერია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

მეხის ჩამოვარდნას ორი ჟირაფი ემსხვერპლა

ამერიკის ფლორიდის შტატში მეხის დაცემის შედეგად ორი ჟირაფი დაიღუპა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ ადგილობრივ საფარი-პარკს ძლიერმა ჭექა-ქუხილმა გადაუარა. ცხოველების გაკვეთამ აჩვენა, რომ ჟირაფები ლილი და ჯიონი დენის ძლიერი განმუხტვის შედეგად დაიღუპნენ. პარკის წარმომადგენლის ჰეილი პასესერის თქმით, ცხოველებზე მეხის დაცემა უიშვიათესია, ვინაიდან ასეთი შემთხვევებისთვის პარკებში სპეციალური თავშესაფრები აქვთ ცხოველებისთვის.

— ჩვენ ვგლოვობთ ორ წარმოუდგენლად მშვენიერ და ქარიზმატულ ჟირაფს. ისინი ძალიან დაგვაკლდებიან, — დაწერეს ფეისბუქში პარკის ოფიციალურ გვერდზე ნაკრძალის თანამშრომლებმა.

ბებიამ შვილიშვილებს შემთხვევით ხილთან ერთად შხამიანი ობობაც მიართვა

ინგლისის ნოტინჰემშირის საგრაფოს ქალაქ ნიუარკ-ონ-ტრენტში ქალმა მაღაზიაში ყურძენი იყიდა და მასში შხამიანი ობობა აღმოაჩინა.

63 წლის ჯილიან შივერსი შვილიშვილებს ყუთში ჩალაგებულ ყურძენს აწვდიდა, როდესაც მასში დიდი ობობა შენიშნა. მან მაშინვე მეუღლეს, ტონის უხმო, რომელმაც ობობა დაიჭირა და ცხელი წყლით სავსე ქვაბში ჩაახრჩო. ქალის თქმით, მომხდარმა ის ძალიან შეაშინა.

სავარაუდოდ, ობობა შეკვრაში იმ დროს აღმოჩნდა, როდესაც ყურძენს ჩილედან აგზავნიდნენ. მაღაზიების ქსელმა მორისონმა, რომლის ერთ-ერთ მაღაზიაშიც შეიძინა შივერსმა ყურძენი, კომპენსაციის სახით მას ათი ფუნტის სასაჩუქრე სერტიფიკატი შესთავაზა. ამ მომენტისთვის კომპანია მომხდარის შიდა გამოძიებას ატარებს.

ძაღლის გადასარჩენად მისი პატრონი დათვთან ორთაბრძოლაში ჩაება

აშშ-ში, ლოს-ანჯელესის გარეუბანში, მამაკაცი დათვთან ორთაბრძოლაში ჩაბმას არ შეუშინდა, რათა მისთვის თავისი ძაღლი გამოეგლიჯა.

პოლიციის მონაცემებით, ინციდენტი ორშაბათს, 10 ივნისს მოხდა. მამაკაცის სახლის უკანა ეზოში დათვის ბელმა შეაღწია. ცხოველით მამაკაცის პატარა ძაღლი დაინტერესდა. ძაღლის ყეფა შორიახლოს მყოფმა დედა დათვმა გაიგონა, რომელიც ბელის დასაცავად ძაღლს თავს დაესხა. შინაური ცხოველის პატრონმა მისი დაცვა გადაწყვიტა და მტაცებელს დაარტყა, მან კი ამის საპასუხოდ მარჯვენა მუხლზე უკბინა და ბარძაყზეც რამდენიმე იარა დაუტოვა.

შემთხვევის ადგილზე კალიფორნიის ბუნების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლები მივიდნენ. მათ დედა დათვიც და ბელიც დაიჭირეს, ხოლო ოდნავ მოგვიანებით ბუნებაში დააბრუნებენ. მამაკაცისა და მისი ძაღლის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„ყველაზე ძლიერი“ ნინუცა მაყაშვილმა და სოფო დონაძემ დატოვეს

რეალური შოუ „ყველაზე ძლიერი“ მსახიობმა ნინუცა მაყაშვილმა და ტელეკომპანია „მაესტროს“ ჟურნალისტმა სოფო დონაძემ დატოვეს.

შოუში სულ უფრო ცოტა მონაწილე რჩება და ბრძოლა კიდევ უფრო დაძაბული ხდება.

ხატია გოგოლაძის მეთაურობით გუნდში „ქორები“ დარჩნენ რეკრუტები გიორგი გილიგაშვილი, ნინი ონიანი, ლევან კვარაცხელია და შორენა ბეგაშვილი.

ჯილდა წურწუმიას მეთაურობით გუნდში „მუხები“ დარჩნენ რეკრუტები ანატოლი ბოისა, ლიზა ყენია და ოთო ფოლადაშვილი. თემო დადიანის მეთაურობით გუნდში „მგლები“ დარჩნენ რეკრეტები ჯანო იზორია, ნინო ოძელაშვილი და გიორგი მანჯგალაძე.

მიხეილ მათიაშვილის მეთაურობით კი გუნდში „ზვიგენები“ მხოლოდ ორი რეკრუტია — სალომე ჭაჭუა და დათო კენჭიაშვილი.

რეზო ჩხიკვიშვილი გერმანიაში დააჯილდოვეს

ქართველი მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი გერმანიაში სპეციალური სამადლობელი სიგელით დააჯილდოვეს.

გერმანიის ქალაქ ესენის თეატრმა და ფილარმონიამ ქართველ ხელოვანს 25-წლიანი ერთგული შრომისთვის მადლობა გადაუხადა.

ინფორმაცია ამის შესახებ რეზო ჩხიკვიშვილმა თავად გაავრცელა:

— გერმანიის ქალაქ ესენის თეატრისა და ფილარმონიის სახელით ვუცხადებთ ბატონ რეზო ჩხიკვიშვილს უღრმეს მადლობასა და აღიარებას მის მიერ გაწეული 25-წლიანი ერთგული შრომისა და წარმატებული მოღვაწეობისათვის.

რომში ქართული კინოს დღეები გაიმართება

16 ივნისს რომში ქართული კინოს დღეები საზეიმოდ გაიხსნება და 18 ივნისის ჩათვლით მაყურებელს სხვადასხვა თაობის ქართველ რეჟისორთა ნამუშევრებს შესთავაზებს.

ქართული კინოს დღეების ფარგლებში რომის კინოს სახლში ნაჩვენები იქნება ზაზა ურუშაძის „მანდარინები“, ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთები“, თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხე“, ლევან კოღუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“ და კოტე მიქაბერიძის „ჩემი ბებია“.

16 ივნისს ღონისძიება გაიხსნება კონცერტით, სადაც ქართველი მუსიკოსები შეასრულებენ ცნობილ ნაწარმოებებს ქართული კინოფილმებიდან, 18 ივნისს კი კოტე მიქაბერიძის ფილმს „ჩემი ბებია“ მუსიკალურ თანხლებას რეზო კიკნაძის ტრიო გაუწევს.

კინოპროგრამის გარდა, რომში ასევე მოეწყობა ქართული კინოაფიშების, ისტორიული ფოტომასალისა და წერილების გამოფენა, რომელიც ქართველი და იტალიელი კინემატოგრაფისტების მეგობრობასთან არის დაკავშირებული.

მაკა მახარაძე სცენას დაუბრუნდა

ბალერინა მაკა მახარაძე სცენას დაუბრუნდა. ის თავისი საბალეტო სკოლის აღსაზრდელებთან ერთად 16 ივნისს მაყურებლის წინაშე წარდგება. ეს ერთგვარი ტრადიციაა, რომელსაც ბალერინა არასდროს არღვევს და თავის პატარა აღსაზრდელებთან ერთად სპექტაკლში მონაწილეობს.

მაკა მახარაძის საბალეტო სტუდია „ვერის უბნის ტანც კლასი“ სოხუმის თეატრში წარმოადგენს სპექტაკლს „იხვის საძაგელი ჭუჭული“, რომელიც ჰანს კრისტიან ანდერსენის ზღაპრის მიხედვით დაიდგა.

ქეთი დოლიძე: „ღმერთმა შეგინდოთ და გონზე მოგიყვანოთ!“

რეჟისორი ქეთი დოლიძე იმ საზოგადოებას მიმართავს, რომელიც გულში მჯიღს ირტყამს და საზოგადოების ნაწილს, მისი ჩათვლით, წითელ ინტელიგენციას უწოდებს:

— ყველა იმათ გასაგონად, ვინც გულში მჯიღს ირტყამთ და „წითელ ინტელიგენციას“ გვიწოდებთ!

მხოლოდ ფაქტები, რომელზეც თქვენ, „ვაი პატრიოტებო“, არ გაქვთ და არც გექნებათ პასუხი.

რატომ მაშინ არ შემოირტყით თავში ხელი, როცა ჯერ კიდევ გუმბერიძის დროს ცხინვალს მიადექით და სამხრეთ ოსეთი დავკარგეთ, კარი ჩაგვირაზეს და შიგ არ შეგვიშვეს. ხომ გააუქმეთ ავტონომია?!

რა მივიღეთ? დავკარგეთ ცხინვალი!

ვის აძლევდა ეს ხელს? რა თქმა უნდა, რუსეთს!

1989 წლის 4 მარტს ვინ გამოვიდა უზარმაზარი ლოზუნგებით „გაუქმდეს აფხაზეთის ავტონომია?!:

თქვენ არ იყავით?!

რა მივიღეთ?! 22 ჩახოცილი ქალი და დაკარგული აფხაზეთი!

ვის აძლევდა ეს ხელს? რა თქმა უნდა, რუსეთს!

1993 წელს ვინ გავარდა ფრონტის ხაზისკენ მატარებლით, რომ ეს ძმათამკვლელი ომი შეგვეჩერებინა? ჩვენ, საქართველოს ქალები! სად იყავით თქვენ, ვინც ახლა გვქოლავთ? ბატონო?

ერთხელ მაინც გადავდგით ნაბიჯი, რომ აფხაზებსა და ოსებს შევრიგებოდით?

გარე-გარე რომ დავრბივართ და უცხოეთში ვეძებთ შერიგების გზებს, თქვენ სად ზიხართ, „არაწითელო“ პატრიოტებო?

მიუხედავად კონდოლიზა რაისისა და, ზოგადად, ამერიკელების გაფრთხილებისა, ვინ დაეტაკა ცარიელ ცხინვალს გიჟივით, ვინ აჰყვა პროვოკაციას 2008 წელს?!

ჩვენ!

ვის აძლევდა ეს ხელს? რა თქმა უნდა, რუსეთს!

2012 წლამდე რამდენი შეცდომა გვაქვს დაშვებული, მოიკითხეთ? დამისახელეთ ერთი სწორი ნაბიჯი, რომელმაც კრიზისიდან გამოგვიყვანა!

ის დასავლეთიც სულ იმას არ გიკიჟინებთ, გამონახეთ საერთო ენა თქვენს მეზობელთანო? თუ არა?!

2004 წელს ვაშინგტონში, ერთმა პოლიტიკოსმა, საქართველოზე შეყვარებულმა, სხვათა შორის, მითხრა: „ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ არ ვართ თქვენი მეზობლები, რუსეთია და ამაზე იფიქრეთო!“

იმ ავბედით აგვისტოს ღამეს შემთხვევით მოვხვდი „თბილისი მერიოტში“, როცა გორს მომდგარი რუსის ჯარი სარკოზიმ შეაჩერა, დიახ, სარკოზიმ, რადგან ოკეანის გადაღმა ვიღაც ეუბნებოდა, რუსებს თუ გინდა მოუღოთ ბოლო, შევიდეს რუსის ჯარი თბილისშიო! და სარკოზიმ ეს გააჩერა!

რა, არა? ჩემ თვალწინ ხდებოდა ეს!

ღმერთმა დამიფაროს პოლიტიკოსობისგან, მაგრამ ამ საქმეებში ეს „ურა-პატრიოტები“ ხომ ყველა ექსპერტი ხართ?!

შვიდ ნოემბერს რატომ დაარბიეთ ხალხიო, ბოკერიას ჰკითხეს და ისე ძალაუფლებას ვერ შევინარჩუნებდითო!

და ახლა ეს კაცი ისევ საქართველოს პოლიტიკაში „გულაობს“! ეს არაა დაქცევა?

„ქართველებოოოო! ქეიფისა და ქელეხის ხალხოოოო!“ — ყვირის მერაბ კოკოჩაშვილის გმირი „ცხელი ზაფხულის სამ დღეში“!

გეყოფათ! შეირგეთ ეს ქვეყანა, ეს დალოცვილი კუთხე, რომელიც ყველას თავისი საკუთრება ჰგონია!

გეყოთ ამდენი ღვარძლი და ბოროტება! ამდენი „იარლიყი“!

რაც მოგცათ ამ საზიზღრობის ძახებამ, კი ვხედავ, აგერ 30 წელია!

რას უნდა შევეგუოთ, რომ აფხაზეთისა და ოსეთის გარეშე შეგიშვან ნებისმიერ კოალიციაში, სადაც ისედაც არ გვიღებენ?

სამუდამოდ მოვაწეროთ ხელი საქართველოს შაგრენის ტყავივით შეჭრასა და დაძიძგნას?

თქვენ ხართ პატრიოტები და რობიკო სტურუას არ უყვარს საქართველო?! ან თემო გოცაძეს, ან სხვებს?

რა უფლებით ბედავთ ამას? ვინ ხართ, რა შეგიქმნიათ?

დიახ, მე ვიყავი ერთადერთი, ვინც ღია წერილი მივწერე პუტინს ორჯერ: 2004 და 2008 წელს! მონახეთ და წაიკითხეთ, ორივე „რეზონანსში“ გამოქვეყნდა!

წაიკითხეთ ჩემი ვაჟიშვილის ინტერვიუ ფრანგულ პრესაში და მიხვდებით, როგორი შვილები გავზარდე!

უშეცდომო არავინაა და ამპარტავნობისგან დამიცვას ღმერთმა!

მეც მატკინეს გული, მაგრამ ერთორ დაბოღმილ და შურიან ქალს ხომ არ უნდა გადავაყოლო ჩემი ქვეყნისადმი უგონო სიყვარული?!

დაოკდით და ქვეყანას მიხედეთ!

სადარბაზოებიდან დაიწყეთ და მოევლება!

1993 წლის ომის დროს, როცა რუსთაველი იწვოდა, დილის 5 საათზე, ქურთის ქალი პეკინის ქუჩაზე ცოცხით გვიდა ტროტუარს და მოთქვამდა: „აი, რა ხალხია ეს ქართველები! სწევენ პაპიროზს და ქუჩაში ყრიან! ვაი, ვაი!“

აი, ეს ქალი უფრო დიდი პატრიოტია ჩემი ქვეყნის, ვიდრე თქვენ, გადარეულო და დაბოღმილო ადამიანებო!

ღმერთმა შეგინდოთ და გონზე მოგიყვანოთ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

15 ივნისისთვის

აშშ დოლარი — 2.7389	ევრო — 3.0914
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4716	100 რუსული რუბლი — 4.2246

ამინდის პროგნოზი 15 ივნისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

11 ივნისიდან

ვაჟა-ფშაველა

მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

18 ივნისიდან

ანე ფრანკი

თავშესაფარი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

31 მაისიდან

დიდი ქართველი მეფეები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

იუმორი

ბიჭი გოგოს ეკითხება:
– გოგონი, სიყვარულით ფულისთვის კავდებით?
– არა!
– შესანიშნავია! თორემ ერთი თეთრიც აღარ დამრჩა.

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:
– შენ ფულის გარდა სხვა რამე გაინტერესებს?
– კი.
– რა?
– სად არის ფული?

●●●

ღამეა. საწოლი ოთახიდან გაბრაზებული მამაკაცის ხმა ისმის:
– ამ კვირაში მარტო წარბები არ გტკიებია!

●●●

შვილი დედას ეუბნება:
– დედა, სვირინგის გაკეთება მინდა.
– მიდი, შენ ქამარი მოიტანე, მამა გაგიკეთებს კარგ სვირინგს!

●●●

მოსამართლე ბოროტმოქმედს ეკითხება:
– რისთვის ცხოვრობთ, სასარგებლოს რას აკეთებთ საზოგადოებისთვის?
– როგორ თუ რას, ბატონო მოსამართლევ? მე რომ არა, ხომ არ გექნებოდათ სამსახური?!

●●●

გაჭიანურებული კამათით თავმობეზრებული ქმარი ცოლს ეუბნება:
– მოდი, ნუ ვიკამათებთ და მშვიდად ვიმსჯელოთ...
– არა! ყოველთვის, როდესაც რაიმეზე მშვიდად ვმსჯელობთ, ბოლოს მართალი ყოველთვის შენ გამოდიხარ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პაულო მალდინი მილანის ტექნიკური დირექტორი გახდება

მილანის ხელმძღვანელობაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. გუნდში პაულო მალდინი დაბრუნდა, რომელიც ტექნიკური დირექტორის პოსტს დაიკავებს.

მალდინიმ განაცხადა, რომ ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მილანმა ძველი დიდება დაიბრუნოს.

მალდინის გარდა, მილანში მუშაობა დაიწყო ამ გუნდის ლეგენდამ ზვონიმირ ბობანმა, რომელიც აქამდე უეფაში იყო დასაქმებული. ბობანი მილანში 10 წლის მანძილზე თამაშობდა და გუნდთან ერთად რამდენჯერმე მოიგო ჩემპიონთა ლიგა.

რაც შეეხება მალდინის, მან მილანში 24 წელი გაატარა.

პოლ პოგბა შესაძლოა იუვენტუსში დაბრუნდეს

მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგი ნახევარმცველი პოლ პოგბა შესაძლოა იუვენტუსში დაბრუნდეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოგბას მანჩესტერიდან წასვლა სურს და იუვენტუსთან აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს.

თავის მხრივ, ტურინელები მზად არიან, ამ ტრანსფერში 160 მილიონი ევრო გადაიხადონ. იუვენტუსის გარდა, პოგბას შეძენა რეალსაც სურს და ფრანგი ფეხბურთელი, სავარაუდოდ, არჩევანს ამ ორ გუნდს შორის გააკეთებს.

მანჩესტერ იუნაიტედში პოგბა 2016 წელს გადავიდა, მანამდე კი ის იუვენტუსის ღირსებას იცავდა.

სარის ლამპარდი შეცვლის?

ლონდონის ჩელსი შესაძლოა უახლოეს მომავალში მწვრთნელის გარეშე დარჩეს, რადგან მაურისიო სარისთან იუვენტუსი სერიოზულ მოლაპარაკებებს აწარმოებს. სარის ჯერ თანხმობა არ უთქვამს, მაგრამ იუვენტუსი მას თავს არ ანებებს.

თუ სარიმ ჩელსი დატოვა, მის ადგილას რამდენიმე კანდიდატურა განიხილება და ერთერთი ყველაზე რეალური ფრენკ ლამპარდია.

ლამპარდი ამჟამად დერბი ქაუნთის მწვრთნელია და მან თითქმის შეძლო ამ გუნდის პრემიერლიგაში გადაყვანა, ამიტომ ის პერსპექტიულ მწვრთნელად ითვლება, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ის ჩელსის ლეგენდაა, მისი ამ გუნდში მოსვლა არავისთვის სიურპრიზი არ იქნება.

მარადონას ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა

დიეგო მარადონა მექსიკური გუნდის დორადოსის მწვრთნელი დროებით აღარ იქნება, რადგან მას ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა.

მარადონამ ორი ოპერაცია უნდა გაიკეთოს მხარსა და მუხლზე, ამიტომ მას ხანგრძლივი სარეაბილიტაციო კურსი დასჭირდება.

ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის დაუბრუნდება მარადონა თავის საქმიანობას.

მექსიკურ დორადოსში დიეგო წარმატებით მუშაობდა და გუნდი აპერტურას ფინალურ ეტაპზეც გაიყვანა.

მოამზადა ბექა გოგანაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. დაბალი ხარისხის ალმასი; 2. ქოქოსის კაკლის გული, რომლისგანაც ხდიან მაღალხარისხოვან ზეთს; 3. ქერის პური; 4. ბრიტანული ტაქსი; 5. ტბა გაგრის რაიონში; 6. მიწის თხილი; 9. მეცნიერება მევენახეობის შესახებ; 10. ქართველი მოქანდაკე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 11. მართული აეროსტატი; 14. ქართველთა სახელწოდება მუსლიმურ ქვეყნებში; 16. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 18. სითხის გამოსახდელი ლაბორატორიული ჭურჭელი; 20. რაიმეს დამზადების წესი; 23. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 24. იაპონური ავტომობილი; 25. ფრანგი შანსონიე ქალი; 26. ქართული ფოლკლორული ანსამბლი.

თარაზულად: 7. მაღალი ტემპერატურის გასაზომი ხელსაწყო; 8. მოკლე დისტანციაზე მორბენალი მძლეოსანი; 12. ფრანგი მწერალი; 13. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთ აზიაში; 15. ქართული ტელეკომპანია; 17. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 19. ხალხური თქმულებები, ლეგენდები; 21. ჰუნების წინამძღოლი; 22. მოედანი სამხედრო-სამწყობრო ვარჯიშებისთვის; 27. სანახაობითი წარმოდგენა კაბარეში, სადაც ქალი თანდათანობით შიშვლდება; 28. ტიპობრივი ნიმუში, საზომი, ნორმა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ფუ ფანგ დან შენ პიან
Fu fang dan Shen pian

გულის იშემიური დაავადებები, მაღალი ქოლესტერინი

ischemic heart disease
high cholesterol

მაი ვეი დი ჰუანგ ვან
Mai vei di huang van

ჭარბი ოფლიანობა

excessive sweating

ნონ გონ იუენ ძ ვან
Nuan gong yun zi wan

ციკლის მოწესრიგება და უშვილობა

cycle regulation.
Infertility

სიაო ქ ვან + ლიუ ვეი დი ჰუანგ ვან
Xiao qe wan + liu vei di huang wan

არეგულირებს შაქრის დონეს სისხლში

regulates
sugar levels
in blood

ჩუან სიან ჩა თიაო ვან
Huan xiong cha tiao wan

თავის ტკივილი, გაცივება, სისუსტე

head ache, ill,
weakness

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/